

Ժրանს Նամուցիզդի

Դ՛ն Նըդձա մաժին, հոուսա
զղաա՛մ զոհազղձ տազև,
հոուսա մձ՛ղճըղձա Նախարարու
հալնը հողուը տաժաժի ըս
զնըղձի ու, զինը զա՛մ
լաժաճի, մալալու լալու

ტრანს თემი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე უხილავ და მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. ინტერნალიზებული ტრანსფობია და ტრანს ჯგუფის აქტივიზმში ჩართულობის დაბალი დონე ჯგუფისა და მისი პრობლემების უხილავობას უცვლელს ტოვებს. გენდერული იდენტობის/გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრა კი თავად ტრანს ჯგუფის წევრთა აქტიური მონაწილეობით თუ მიიღწევა.

ტრანს ნარატივები ტრანს ადამიანების უხილავობასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა.

ამბები, რომლებსაც ტრანსგენდერი ადამიანები ჰყვებიან, ტრანს ნარატივების სახელწოდებით გავაერთიანეთ. ეს იმ ადამიანების ისტორიები და თვალსაზრისებია, რომლებიც ჩვენთან ერთად, ჩვენს სოციუმში ცხოვრობენ, თუმცა კი ხშირად უხილავები, უარეს შემთხვევაში კი - ჩვენგან გარიყულნი რჩებიან. ტრანს ნარატივებიც ტრანს ადამიანების მსგავსად, იშვიათადაა გაზიარებული; იშვიათად გვხვდება ჩვენ გარშემო იმ ალტერნატიული რეალობის ასახვა, რომელიც ერთი ხელის განვდენაზე არსებობს, თუმცა კი, მის შესახებ არავინ გვიყვება. ტრანს ნარატივების შეკრებით მათ ავტორებთან ერთად, პირველ რიგში, ვეცადეთ, შეგვევსო დანაკლისი ყოველდღიურობის თხრობისათვის შექმნილ არსებულ სისტემაში და თავად შეექმნათ ავტორებს ტექსტები, რომელთა მსგავსის წაკითხვასა თუ მოსმენასაც თავად ისურვებდნენ; ასევე, მკითხველს ვთავაზობთ ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის, სტილისა და ხედვის კუთხის მქონე ნარატივებს, სახალისო და სევდიან ისტორიებს, ძალადობის, დისკრიმინაციის, ასევე თანადგომისა და გაძლიერების ფაქტებს, ამბებს, რომლებიც განსხვავდება არა მარტო სხვა ამბებისგან, არამედ ერთმანეთისგანაც, ისევე, როგორც - მათი ავტორები.

პრეცედენტი
საკუთარი
თავის ძიებისა

გამარჯობა, მე საკმაოდ მგრძნობიარე ადამიანი ვარ და ბავშვობიდან დეპრესიისკენ ვიყავი მიდრეკილი. რომ გითხრათ, ამას ადვილად ვუმკლავდებოდი-მეთქი, არ ვიქნები მართალი.

უკვე ზრდასრულ ასაკში, დეპრესიის მორიგი შემოტევის შემდეგ, მე და დედამ ექიმთან მისვლა გადავწყვიტეთ. მან მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული მედიკამენტები დამინიშნა. რატომღაც ექიმთან ქამინგ აუთის (მაშინ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცოდი) გაკეთება მომინდა და ვუთხარი, რომ ჩემს მდგომარეობას წამლებით ვერ უშველიდა. ის მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, დედას სთხოვა, ცოტა ხნით დავეტოვებინეთ და ოთახში ფსიქოლოგს უხმო. ექიმთან და ფსიქოლოგთან საუბრის შემდეგ მივიღე რეკომენდაცია, მივსულიყავი ლგბტ ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელის ნომერიც იქვე მომცეს. ასე აღმოვჩნდი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფში“. დროთა განმავლობაში ახალ-ახალ ადამიანებს ვეცნობოდი და თავს უფრო და უფრო კომფორტულად ვგრძნობდი.

ახლოვდებოდა 2012 წლის IDHO და ორგანიზაცია და თემის წევრები მთლიანად ამ დღეების სამზადისში იყვნენ ჩაფლულები, მეც მათ შევუერთდი. 17 მაისს მათთან ერთად გავედი მსვლე-





ლობის მოსაწყობად. მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა გაცნობიერებული, რას ნიშნავდა ეს დღე, მაგრამ სოლიდარობის მიზნით ნავედი აქციაზე.

როცა ჩვენი დარბევა დაიწყო და იქ გამოჩნდნენ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „წმინდა გიორგის ორდენის“ წარმომადგენლები, მაშინ მივხვდი, თუ რამხელა წინააღმდეგობის გადალახვა მოვინებდა მომავალში. ეს დღე მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად დასრულდა.

ამის შემდეგ შევუერთდი კიდევ ერთ ორგანიზაციას, „იდენტობას.“ ამ ორგანიზაციას ხშირად ვსტუმრობდი, ბევრ ტრენინგს და ვორკშოპს ვესწრებოდი. პირველად აქ გავიგე სქესისა და გენდერის განმარტებები, ასევე ამიხსნეს, თუ რას ნიშნავდა სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. უკვე დავინწყე ამ ტერმინებში საკუთარი თავის ძიება. ბევრი დრო არ დამიხარჯავს, როგორც კი ტერმინების აზრს ჩავწვდი, მაშინვე ვთქვი, რომ ტრანსგენდერი კაცი ვარ. ამის შემდეგ დავინწყე იმის გარკვევა, თუ რა იყო ტრანზიციია, რომელი ეტაპისთვის როგორ უნდა მიგელწია და რა იყო ამისთვის საჭირო. იყო მომენტები, როცა ამ ყველაფერმა მთლიანად მოიცვა ჩემი ყოველდღიურობა, სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი, მინ-

დოდა, რაც შეიძლება, სწრაფად დამენყო ტრანზიციის პროცესი. ინტერნეტში ხშირად ვუყურებ-დი სხვადასხვა ვიდეოებს ამის შესახებ, რაც უფრო ამძაფრებდა ჩემს სურვილს.

დროთა განმავლობაში სხვა ტრანსგენდერი ადამიანები გავიცანი და ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით საკუთარ გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებს. გამოიკვეთა, რომ ყოველი ჩვენგანის უპირველეს პრობლემას თანხის არარსებობა წარმოადგენს, თანხა კი საკმაოდ ბევრია, რომლის არცერთ პროცენტს არ აფინანსებს სახელმწიფო. მათი მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება არამარტო დაუფინანსებლობაში, არამედ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანანერის ცვლილებაშიც გამოიხატება. ვთვლი, რომ ამან და სხვა დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ჩამომაცალიბა ერთ-ერთ ძლიერ ლგბტ აქტივისტად და გამიჩინა დიდი პროტესტი მათ მიმართ.

ქართულ ჰეტერონორმატიულ საზოგადოებას მტრული დამოკიდებულება აქვს ლგბტ ადამიანებისადმი, ქვეყანაში ჰომოფობია და ტრანსფობია მძვინვარებს. საზოგადოება განსაკუთრებულ ზიზლს ავლენს ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ და არ ერიდება, გამოიყენოს სიძულვილის ენა.

2013 წელი

17 მაისი

ჰომოფობიასა

და ტრანს-

ფობიასთან

ბრძოლის

საერთაშორისო

დღე

ისევე, როგორც გასულ წელს, ახლაც, წინასწარ ორი თვით ადრე დაიწყო ამ დღისთვის მზადება. მიმდინარეობდა როგორც თავად დღის აღნიშვნის დაგეგმვა, ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა უსაფრთხოებაზე მსჯელობას. თავიდან გვინდოდა, წინანდელივით მსვლელობა მოგვეწყო, მაგრამ ვინაიდან ამ წელს უფრო ბევრნი ვიყავით აღნიშვნის მსურველნი, ჩავთვალეთ, რომ ეს უსაფრთხო არ იქნებოდა, რადგან გამოინვევდა ხალხის გადასვლას ქუჩაზე და საჭირო გახდებოდა მისი გადაკეცვა, რაც ისედაც ცუდად განწყობილ ჰომოფობთა საზოგადოებას გააღიზიანებდა, ეს კიდევ უფრო ზრდიდა იმის რისკს, რომ არ იქნებოდა დაცული ჩვენი, როგორც აქციის მონაწილეთა, უსაფრთხოება. ერთობლივი მსჯელობის შემდეგ ავირჩიეთ აქციის ჩატარების ადგილი. თავდაპირველი ჩანაფიქრით ეს უნდა ყოფილიყო პარლამენტის ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მოვანყობდით ფლეშმოზს, გავაკეთებდით ცისარტყელას დროშას ამავე ფერების მათსურებში ჩაცმული ადამიანებისგან. ამ ფონზე ვიდგებოდით 15-20 წუთის განმავლობაში. ეს იქნებოდა ჩვენი მდუმარე პროტესტი ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ. ვიცოდით, რომ თუ ასეთი ფორმით აღვნიშნავდით ამ დღეს, პოლიცია ჩვენს უსაფრთხოებას დაიცავდა. სახელმწიფო ამის გარანტიებს ბოლო დღემდე იძლეოდა (როგორც შემდეგში აღმოჩნდა, მათ ჩვენი თხოვნა არასწორად გაიგეს, ან ისე გაიგეს, როგორც თავად სურდათ).

აქციის მოახლოებასთან ერთად იმატა აგრესიამ ხალხში. სასულიერო პირები მრევლს მოუწოდებდნენ, არ მიეცათ საშუალება ლგბტ ადამიანებისათვის, რომ აქცია ჩაეტარებინათ. მათი მხრიდან მოსალოდნელი იყო კონტრაქციის ჩატარება, რათა ამით დაეგმოთ (როგორც თავად ამბობდნენ) ჰომოსექსუალობის პროპაგანდა საქართველოში. მათ მიერ გამოყენებული სიძულვილის ენა ისმოდა ყველგან, მრევლისადმი მოწოდებები ვრცელდებოდა ასევე სოციალური ქსელითაც, ისინი აშკარად გამოხატავდ-



ნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას ლგბტ ხალხისადმი. 16 მაისის ღამეს მათ დაიწყეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის დაკავება, რამდენიმე სასულიერო პირმა მრევლის მცირე ჯგუფს მოუწოდა, რომ მათ ღამე გაეთენებინათ აღნიშნულ ადგილზე, რათა მეორე დღეს ჩვენ არ მოგვცემოდა საშუალება ამ ადგილის დაკავებისა. სწორედ ამიტომ შევცვალეთ გადაწყვეტილება და ავირჩიეთ სხვა ადგილი, იმისათვის, რომ არ მომხდარიყო დაპირისპირება ჩვენსა და კონტრაქციის მონაწილეებს შორის და შეგვძლებოდა მშვიდად ჩაგვეტარებინა აქცია. ჩვენი ახალი ლოკაცია 17-ის დილამდე მათთვის ცნობილი არ იყო.

აქციის მოახლოებასთან ერთად ჩემმა ემოციებმაც იმატა, გავხდი უფრო დაძაბული. ყოველდღე ამ თარიღზე ვფიქრობ-



დი, ცუდი წინათგრძნობა მექონდა და ამის გამო წინა ღამით ნორმალურად არც მძინებია. 17 მაისის დილით, რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, ინტერნეტით ჩემს ორ მეგობარს მივწერე, მინდოდა, მათი განწყობა გამეგო, ისინიც ისეთივე ხასიათზე იყვნენ, როგორზეც - მე. ჩვენ ყველას რალაც ცუდის მოლოდინი გვქონდა, მაგრამ არცერთი არ ვფიქრობდით, რომ აქციაზე არ უნდა წავსულიყავით.

ქუჩაში რომ გავედი, მეგონა, ყველა მე მიყურებდა და ვფიქრობდი, რომ ისინიც გრძნობდნენ ჩემში არსებულ დაძაბულობას. სანამ აქციის ადგილამდე მივედი, გზადაგზა მეგობრები შემომიერთდნენ, უკვე მართო აღარ ვიყავი და ეს მაძლიერებდა.

ადგილზე მისვლას ცოტალა გვაკლდა, როცა გზად კიდევ ერთი მეგობარი შეგვხვდა, რომელმაც გვითხრა, რომ პარლამენტის წინ ძალიან ბევრი აგრესიულად განწყობილი ხალხი იდგა და ჩვენ შეუმჩნეველად უნდა მისვლიყავით წინასწარ შეთანხმებულ სკვერში, რომელიც მისვლისას პოლიციელებით გარშემორტყმული დაგვხვდა.

როდესაც სკვერისკენ წავედით, 4-5 ბიჭისგან შემდგარი ჯგუფი წამოგვეწია, მათ ჩემი გეი მეგობარი იცნეს და მისი ცემა უნ-

დოდათ, აგინებდნენ და მისკენ ინევდნენ. ცოტა მოშორებით პატრულის თანამშრომელი შევნიშნე და ვუთხარი, რომ ეს ბიჭები ჩვენზე თავდასხმას აპირებდნენ, ჩვენ კი გზა განვაგრძეთ. სკვერში რომ მივედით, ჩვენი ყველა მეგობარი იქ დაგვხვდა.

აქციის დაწყებამდე დიდი დრო იყო დარჩენილი და რაც დრო გადიოდა, უფრო მემატებოდა დაძაბულობა და შიში იმისა, რომ რალაც ცუდი მოხდებოდა. მთელი გამზირი აგრესიულად განწყობილი ხალხით და სასულიერო პირებით იყო სავსე. ისმოდა შეძახილები და სხვადასხვა მონოდეტები ლგბტ ხალხის მიმართ. ფლეშმობის დაწყებამდე 15 წუთით ადრე რალაც უჩვეულო სიჩუმემ მოიცვა მთლიანად სკვერი და მიმდებარე ტერიტორია. რამდენიმე წამში კი ძალიან დიდი ხმაური მოისმა იმ მხრიდან, სადაც აგრესიული ხალხი და სასულიერო პირები იმყოფებოდნენ, უცებ სკვერის ერთ-ერთ მხარეს მდგომმა პოლიციელებმა გაქცევისკენ მოგვინოდეს. ზედმეტი დაძაბულობისგან ადგილიდან არ გავნძრეულვარ, ჩემი მეგობრები კი გარბოდნენ, ერთმა ჩემმა მეგობარმა აზრზე მომიყვანა და მეც გავიქეცი იქით, სადაც ავტობუსები იდგა და ერთ-ერთში ავირბინე. ვხედავდი, როგორ მორბოდნენ გავეშებული ხალხი და სასულიერო პირები ავტობუსებისკენ. მძლოლმა კარების დაკეტვა ძლივს მოასწრო, რომ ერთ-ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა კარებს ფეხი დაარტყა, ჩვენ შეშინებულები მძლოლს ვუყვიროდით, რომ წასულიყო (თურმე ის ამ დროს „ზემოდან“ მითითებებს ელოდა). როგორც იქნა, ავტობუსი დაიძრა და ჩვენც ცოტა ამოვისუნთქეთ. დაახლოებით ნახევარი საათის მგზავრობის შემდეგ ავტობუსი ორთაჭალაში გაჩერდა, აქ უკვე აღარაფერი გვემუქრებდა. ავტობუსიდან საპატრულო მანქანებში გადაგვანაწილეს და უსაფრთხო ადგილებზე დაგვტოვეს, საიდანაც უკვე სახლებში წასვლას მოვახერხებდით.


სახლში მისულმა ვნახე ის საშინელი კადრები, რაც მერე მთელი დღის მანძილზე ვრცელდებოდა ტელევიზიით და სოციალურ ქსელებში. როგორც შემდგომში გაირკვა, დღის ბოლომდე გრძელდებოდა ჰომოფობების თარეში ქალაქის ქუჩებში, ეძებდნენ აქციის მონაწილეებს; თუ ვინმეს რამე ნიშნით გამოარჩევდნენ, თავს ესხმოდნენ (არც ერთი მათგანი არ დასჯილა).

მრავალჯერადი დაპირების მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შეასრულება, რადგან შეიზღუდა ჩვენი, აქციის მონაწილეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება.

т.д.

„СМЕЯТЬСЯ

НЕЛЬЗЯ ПЛАКАТЬ”



ვფიქრობ, ლგბტ თემის ნებისმიერი წევრის ცხოვრებაში ყოფილა არაერთი უჩვეულო შემთხვევა, რომელიც მის არასტანდარტულობას უკავშირდება. მათგან უმეტესობა, სამწუხაროდ, ნეგატიურია, თუმცა, არის სახალისო ეპიზოდებიც. სწორედ ასეთების შესახებ გადავწყვიტე მოყოლა.

შემთხვევა პირველი - სამედიცინო. სხვების მიერ შენი გენდერის აღქმის შესახებ. ეს იყო შორეულ ორიათას წელს, როდესაც მე ახალი ჩაბარებული მქონდა უნივერსიტეტში და ისე, როგორც სხვა ახალ სტუდენტებს, სამედიცინო კომისიასთან შემოწმება უნდა გამეგლო. იმ დროს ჯერ კიდევ არ მქონდა დაწყებული ტრანზიცია, ანუ, მქონდა ქალის საბუთები და ასევე არ ვიღებდი ჰორმონებს, არც ოპერაცია გამიკეთებია. თუმცა, ამის პარალელურად, რამდენადაც მე მახსოვს, ცხოვრების სტილი თავიდან ბოლომდე კაცის მქონდა, მათ შორის - გარეგნული მხარეც: ვატარებდი კაცის ტანსაცმელს, მოკლე ვარცხნილობას და ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, თავს წარვადგენდი ხოლმე კაცის სახელით (ანუ ყველგან,

სადაც არ ფიგურირებდა ჩემი საბუთე-
ბი). ჰო და, მედკომისიაზე მისულმა წინ
გავუშვი ყველა ჩემი კურსელი და კაბი-
ნეტში ბოლო შევედი. რამდენიმე სპე-
ციალისტთან უნდა გამეველო შემონმე-
ბა, პირველი კი ქირურგი იყო, რაც იმას
ნიშნავდა, რომ ქამრამდე ყველაფერი
უნდა გამეხადა. მაგიდაზე დავდე ჩემი
სამედიცინო ბარათი და დავიწყე გახ-
და, სანამ ექიმი რალაცის წერით იყო
გართული. ბოლოს მორჩა წერას, აწია
თავი, შემომხედა და უცებ თვალეში
გაუფართოვდა. რამდენიმე წამის გა-
მავლობაში შეძრწუნებული მათვალ-
იერებდა, რის მერეც ამოლერდა: „შენ
ხომ ენდოკრინოლოგი გჭირდება!“ მე
თავი მოვაჩვენე, რომ თითქოს ვერა-
ფერს მივხვდი და ნეიტრალური ტო-
ნით ვკითხე: „რატომ?“ „კი მაგრამ
შენ ხომ გინეკომასტია გაქვს!“ - ხმას
აუმაღლა. აქ უკვე ვეღარ მოვითმინე,
გავიღიმე და მივუთითე სამედიცინო
ბარათზე, რომელიც მის ცხვირწინ მა-
გიდაზე იდო და რომელზეც მსხვილი
შრიფტით ეწერა სახელი. შემიძლია
ვთქვა, რომ ამ დროს თითქმის გავი-
გონე მის თავში გამჯდარი შაბლონის



ნამსხვრევებად დაშლის ხმა.

შემთხვევა მეორე: კრიმინალური. სხვადასხვა ადამიანების მიერ უჩვეულოს განსხვავებული აღქმების შესახებ. წლების განმავლობაში რამდენიმე ბინა გამოვიცვალეთ, მათ შორის, ქალაქის არც თუ ისე კეთილგანწყობილ უბნებში. ერთხელ იმ სახლის ეზოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მკვლელობა მოხდა. გამომძიებლებმა ყველა ბინა შემოიარეს და მაცხოვრებლები დაკითხეს. შემოვიდნენ ჩვენთანაც. რამდენიმე სტანდარტული შეკითხვა დამისვეს, ჩემი პასუხების მიხედვით პროტოკოლი შეადგინეს და მერე გვარი და სახელიც მკითხეს. იმ მომენტისთვის ეს ყველაზე უხერხული შეკითხვა იყო, იმდენად, რამდენადაც უკვე ჰორმონულ თერაპიას გავდიოდი, მაგრამ საბუთები კვლავ ძველი მქონდა. გადავწყვიტე, რომ გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა, ოფიციალური ახსნა-განმარტება მიმეცა, მივანოდე ჩემი პასპორტი და ვუთხარი, მონაცემები იქიდან გადაენერათ. მოვლენები საკმაოდ ეფექტურად განვითარდა: პირველ გამომძიებელს თვალები გაუბრწყინდა

და შეკითხვები დამაყარა: „რა საინტერესოა! და როგორ ხდება ეს? და სად? და რა ღირს?“ და ა.შ. მეორე, რომელიც შეშინებული მიყურებდა, სახელოზე ქაჩავდა პირველს და ბურდღუნებდა: „ნავედით აქედან დროზე...“

შემთხვევა მესამე, ეროტიკული. ძალიან ადრე, როდესაც მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთი გავიცანით და შეხვედრა დავინწყეთ, განმარტოების შესაძლებლობა (და შესაბამისად, სექსისაც) ბევრი არ გვქონდა, რადგან მეც და ისიც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით. თუმცა, მაშინ უკვე, 18 წლის, საკუთარი ავტომანქანის ბედნიერი მფლობელი ვიყავი, და ამ ფაქტს ასევე ზემოთ აღნიშნული მიზნითაც ვიყენებდით. ერთ-ერთ საღამოს, ზამთარში, ხარკოვის ერთ-ერთი გარეუბნის ქუჩაზე გვჩერდით, სექსი რომ გვქონოდა. თავიდან ჯერ კიდევ დღე იყო, თუმცა ზამთარში ადრე ღამდება და ცოტა ხნის მერე უკვე დაბნელდა, რაც ჩვენ, ბუნებრივია, ვერ შევნიშნეთ - ერთმანეთით დაკავებულებმა. და იმ დროს, როცა უკვე ორივე ნახევრად გახდილები ვიყავით, მანქანის ფანჯარაზე ვი-

ლაცამ გარედან მოაკაკუნა. მილიციის პატრულმა სიბნელეში გაბარიტების ფარაუნთებელი მანქანა დაინახა. მე მანქანიდან გადმოვძვერი, თან შარვალს ვიჭერდი და პერანგს ვიკრავდი (პატრული, ცხადია, ყველაფერს მიხვდა და გაიცინეს - ქურჩაში დაახლოებით მინუს ოცი გრადუსი იყო, მანქანაში კი ქურთუკდაფარებული, ნახევრად ინვა ჩემი გოგო). მართვის მონმობა გავუნოდე. ჩაიხედეს საბუთში და გაშტერდნენ - სახელი ქალის იყო. ხან მე მიყურებდნენ, ხან _ დოკუმენტს, ბოლოს კი ერთ-ერთმა ამოღებდა: „ჰოოო, კაცად უნდა დაბადებულიყავი შენ...“, რაზეც არ შემეძლო, არ დავთანხმებოდი. დამაჯარიმეს თუ არა მაშინ, ამდენი აღარ მახსოვს, აი მათი სახეების გამომეტყველება კი კიდევ დიდხანს მემახსოვრება.

შემთხვევა მეოთხე, ფსიქოლოგიური თავდაცვის მეთოდების შესახებ. საღამოს მეტროთი ვბრუნდებოდი სახლში და რატომღაც მილიციის პატრულმა საეჭვო თვალთ შემომხედა. მთხოვეს, მეტროსადგურის მილიციის კაბინეტში გამოვცხადებულიყავი, დამათვალე-





რეს, მკითხეს, საით და საიდან მივდიო-
დი და გადანწყვიტეს, რომ უნდა გავემ-
ვით. თუმცა მანამდე პროტოკოლი იყო
შესადგენი. კვლავ დაისვა უხერხული
შეკითხვა სახელისა და გვარის შესახებ.
საბუთები თან არ მქონდა. იმ მომენტ-
ში გავიფიქრე, რომ თუ ვიტყვოდი, რაც
პასპორტში მწერა, ჩათვლიდნენ, დაგ-
ვცინისო და პრობლემები მექნებოდა.
თუ არაოფიციალურ სახელს ვეტყო-
დი, დამიჯერებდნენ, მერე გაიგებდნენ,
რომ მოვიტყუე და ასევე პრობლემებს
გადავეყრებოდი. კიდევ კარგი, ექსტ-
რემალურ სიტუაციებში არასტანდარ-
ტულ გადანწყვეტლებებს სწრაფად ვი-
ღებ. ვუპასუხე: „შემიძლია გითხრათ
ჩემი სახელი, მაგრამ არ დამიჯერებთ“.
რა თქმა უნდა, მსგავსი განცხადების
შემდეგ დამარწმუნეს, რომ რაც არ უნ-
და მეთქვა, დამიჯერებდნენ, რის შემ-
დეგაც მშვიდად ვუთხარი საპასპორტო
სახელი. მილიციონრებს, რბილად რომ
ვთქვათ, გაუკვირდათ, მკითხეს, ვის მი-
ერ და როდის იყო გაცემული პასპორ-
ტი, დარეკეს რაღაც სამსახურში, სა-
დაც მათ დაუდასტურეს, რომ მსგავსი
პასპორტი ნამდვილად არსებობდა და

მერე უკვე დაიწყეს თანაგრძნობით აღსავსე შეკითხვების დასმა, მაგალითად, „ამის გამო მილიონი პრობლემა გაქვს ალბათ, როგორ უმკლავდები?“ მეგობრულად დავშორდით ერთმანეთს.

ბევრი მსგავსი ისტორია გადამხდენია თავს. ყველას უკვე ვეღარც ვიხსენებ, ან თუ ვიხსენებ, მათი მოყოლა ძალიან შორს წაგვიყვანს. და რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი არც თუ ისე სახალისოა, ისინიც კი, რომლებსაც ახლა იუმორით ვიხსენებ, მაშინ მეტწილად ფრუსტრაციის გამომწვევი იყო. ზემოთ ნაამბობი რომ შევაჯამო, შემიძლია ვთქვა, რომ პირადად ჩემს ცხოვრებაში საკამათო, უხერხული და უსიამოვნო სიტუაციების დიდი ნაწილი გენდერის შეუსაბამობის, გარეგნობისა და საბუთების გამო მომხდარა. სხეულთან დაკავშირებული პრობლემები სხვა ხასიათისაა და მისი მოგვარება უკვე კერძო შემთხვევების საკითხია – საკუთარ თავთან ან პარტიორთან. საბუთები კი, რომლებიც არ შეესაბამება გენდერსა და გარეგნობას, საკმაოდ ართულებენ საზოგადოებაში ინტეგრირების მცდელობას.

உ.ம.

7 წლის როცა ვიყავი, დედასა და უმცროს დასთან ერთად მეზობელი რეგიონის დასასვენებელ სახლში ვისვენებდით. ერთ-ერთი სანაპიროს მახლობლად ბანაკი იყო გაშლილი - რამდენიმე კარვითა და მანქანით. მიჩვეული ვიყავი ქალაქის პირობებში განსაკუთრებულ კომფორტულ გარემოში ცხოვრებას და ეს ბანაკი ზღაპრულ ციხესიმაგრედ მეჩვენებოდა. მუდმივად რალაც დისტანციიდან ვაკვირდებოდი _ ახლოს დედა არ მიშვებდა. ბანაკში ადამიანები კოცონს ანთებდნენ, რომელზეც მერე საჭმელს ამზადებდნენ, გიტარაზე უკრავდნენ, ბურთს და ბანქოს თამაშობდნენ. დიდი თვითნაკეთი ჩარდახები ჰქონდათ, რომლებიც ჩრდილს ქმნიდა და იალქნებს წააგავდა.

მაგრამ მთავარი ნიუფაუნდლენდი იყო: დიდი, შავი და ძალიან ჭკვიანი ძაღლი. აღარ ვიცოდი, როგორ დამეხსნა თავი დედის „ადამიანებს ხელს ნუ უშლი“ - მოწოდებებისგან და მეტი კონტაქტი შემძლებოდა მათთან. ძაღლს ფლინტი ერქვა. შეეძლო, დამჯდარიყო და შვიდი წლის უცნობი გოგონასთვის თათი გაეწოდებინა. მას პატრონები ჰყავდა: დეიდა - მატრასზე, ბიძია - ტენტის ქვეშ, და ორი ბავშვი: საშა და მაშა, რომლებიც, დეიდას თუ დავუჯვრებთ: „...სასწრაფოდ ჩამოდი მანდედან!“ ან „...სად ჯანდაბაში წახვედით?“

შვიდი წლის გოგო კომუნიკაბელური და მომხიბვლელი არსება იყო; ყველასთან ნაცნობობას აბამდა და მერე დიდხანს და ბედნიერად ემეგობრებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ნაცნობები პენსიონრები იყვნენ. მაგრამ ახლა ჩემ გვერდით მუდმივად იყო დედა, და

არამომაბეზრებელი, ზრდილობიანი გოგონას იმიჯისაგან დიდი ხნით დასხლტომა არ გამომდიოდა. ამიტომაც არადამაჯერებლად ვსაუბრობდი ფლინტზე, ფეხებით მშრალ ქვიშას ვქექავდი დეიდას მატრასის მახლობლად და ვინტერესდებოდი ძაღლის დაბადების დღის შესახებ, უყვარდა თუ არა მას თევზი, ჰყავდა თუ არა შვილები... თავად დეიდის შვილების შესახებ კი არაფერი მიკითხავს. ისინი მაღალი ხეებიდან ხტებოდნენ ჩასაყვინთად და ნავით კუნძულისკენ დაცურავდნენ. ამავე დროულად მშურდა კიდეც მათი: მამაცები და ლამაზები იყვნენ, ასეთი ძაღლი ჰყავდათ და ასეთი კარვები ჰქონდათ... მინდოდა მათთან ერთად დასვენება.

უკვე ზრდასრული ქალი ვარ. ვხელმძღვანელობ რამდენიმე საქველმოქმედო პროექტს, ვუძღვები საოჯახო საქმეებს და, ბევრ სხვა რამესაც ვაკეთებ, ერთი სიტყვით. როცა შენი ასაკი 30-ს გადააბიჯებს, გარშემო მყოფები შენგან უკვე რაღაც სერიოზულს მოითხოვენ. თავისუფალ დროს ხელნაკეთ ღია ბარათებს და ალბომებს ვამზადებ. ლამაზად გამომდის. მყავს კატა, განვრთნილი და საყვარელი. ბევრ რამეზე ვოცნებობ, და ოცნებებიც არც თუ ისე იშვიათად ხდება. ხშირად მეგობრები მსტუმრობენ. ბევრი მათგანი სხვა ქალაქიდანაა და ზოგი – სხვა ქვეყნიდანაც. ხანდახან თავად მივდივარ სხვაგან, და ყველგან მხვდებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, მიგიღონ და რომლებსაც სურთ ურთიერთობა. რაღაც, აი, ასე, მეგობრულადაა მონყობილი ჩემი სამყარო. ჭკუა მეკეტიბა ყველსა და ჩაიზე. თუ ეს ორი რამ მაქვს, სხვა არაფერზე ვდარდობ.

მიყვარს წელიწადის ყველა დრო. მინდა ვის-
ნავლო ბლოკ-ფლეიტაზე დაკვრა, მაგრამ
ამისთვის არაფერს ვაკეთებ. მიყვარს ქალა-
ქი, სადაც ადრე ვცხოვრობდი, თუმცა ცოტა
ხნის წინ შევიცვალე საცხოვრებელი ადგილი -
არანაკლებ მშვენიერ ადგილას გადავზარადი.
მიყვარს საცხოვრებლად გადასვლა. ვეფერე-
ბი უპატრონო ძაღლებს. ვთამაშობ „რა? სად?
როდის?“. ვნახულობ მსუყე სიზმრებს. ჩემი
მშობლიური სახლის ფანჯრებიდან საკუთარი
ხელით დარგული ცირცელის სამი ხე მოსჩანს,
ახალი სახლიდან ვხედავ, როგორ იზრდება
ჭადარი.

მოკლედ, ვცხოვრობ.

რატომ მოვყევი ამ ყველაფერს? რა კავში-
რი შეიძლება იყოს აქ? 24 (ოჰო!) წლის წინ
რომ მე ცოტა უფრო მეტად მომთხოვნი ვყო-
ფილიყავი, ან დედას რომ გავეშვი იმ სანა-
პიროზე ვილაც დიდ ბავშვებთან ერთად, მე
მთელ ამ ტურისტულ კამპანიას დავუმეგობ-
რდებოდი. ალბათ ნავითაც გამასეირნებდნენ
და მწვადებსაც მაჭმევდნენ, ვიკონტაქტებ-
დით, დავბრუნდებოდი ხარკოვში, მივიდოდი
ფლინტთან სტუმრად და ვიმეგობრებდით
ოჯახებით... მაგრამ, სავარაუდოდ, დღევან-
დელი დილა ასეთი აღარ იქნებოდა.

დღეს მე ჩემი საყვარელი ქმრის გვერდით გავიღვიძე. დიდი დრო არ არის გასული, რაც ხელი მოვანერეთ - ხუთი წელი გავიდა. აი, ასე მოხდა. თუმცა, ჩვენ ბევრად უფრო დიდი ხანია, რაც ერთად ვართ და ერთობლივად იმდენი რამ გადავიტანეთ... აი, მართლა ძალიან ძალიან ბევრი რამ. ყველაფერი, რაზეც ვწერდი - ოცნებები, ჩაი და ხედები ფანჯრიდან - ეს ყველაფერი ჩვენთვის საერთოა. ერთად ვრგავდით ცირცელის ხეებს და ვწვრთნიდით კატას. ერთად შეგვიყვარდა ახალი ქალაქი და ერთად ვცხოვრობთ აქ ახლა...

შვიდი წლის გოგო რომ უფრო მომთხოვნი ყოფილიყო, არა მგონია, რომ ჩვენი ოჯახი ოდესმე შეიქმნებოდა. მე რომ ფლინტთან ოჯახით მემეგობრა, გაცილებით უფრო რთული წარმოსადგენია, რომ გავმხდარიყავი მამა „სასწრაფოდ ჩამოდი“-ს ცოლი...

ერთმანეთი უკვე მეორედ უნივერსიტეტში გავიცანით, და თავიდანვე ვერ მივხვდი, რომ მე და ჩემი შეყვარებული ერთხელ უკვე შევხვდით ერთმანეთს. დეიდა მატრასზე, რომლის შესახებაც უკვე ვთქვი, ჩემი დედამთილი გახდა, ბიძია გიტარით კი _ მამამთილი, მაღალი ტოტიდან მოხტუნავე ბიჭი - ჩემი ქმრის ძმა და ძმიშვილის მამა. ფლინტი კიდევ ერთხელ ვნახე. უკვე მოხუცი და ჯანმრთელობაშერყეული, თუმცა კი ისეთივე დამჯერე და ჭკვიანი ძაღლი. ახლა უკვე მამამთილს შეიხი ჰყავს _ ასევე ნიუფი, მშვიდი და კეთილი. კვლავ ოჯახით გადაიან ხოლმე ბუნებაში - კარვებით, სათევზაოთი, მწვადებით. ოღონდ მე ახლა უკვე მათი აღარ მშურს. უკვე მეც მათი ოჯახის ნაწილი ვარ.



როდესაც ჩემი ქმარი სქესის შეცვლის ოპერაციას იკეთებდა, ჩვენ უკვე ერთად ვიყავით. საკმაოდ დიდი ხანი იყო გასული, უკვე მერვე წელი იდგა, თუმცა, მაინც საკმაოდ პატარა და შეშინებულ გოგონად ვგრძნობდი თავს იმ მომენტში. უცხო ქალაქში ვიყავით, გარშემო საავადმყოფოს კედლები იყო, და სიტუაცია ასეთია, რომ აი, ახლა მე უნდა ავდგე და გავიდე, და შეიძლება, ვერც ველარასოდეს ვნახო საყვარელი ადამიანი. ამის შესახებ არაა სასიამოვნო ლაპარაკი, თუმცა, შეუძლებელია, რომ ფიქრს თავი აარიდო. რამდენიმე საათიანი ანესთეზია, სერიოზული ქირურგიული ჩარევა... აი, როგორ გინდა ასეთ დროს სიკვდილის რისკები დაივიწყო.

ახლა კი შემიძლია, რამდენიმე საყვარელი სურათიც გავიხსენო: ქმრის მარკერებით მოხატული მკერდი, ან ქირურგი, რომელიც დამხმარეს ეუბნებოდა: „ცხელი ჩაი მომიმზადეთ, თორემ ხელები მიკანკალებს“, და ამ დროს მე რომ მიყურებდა. სხვა დროს ალბათ ეს ყველაფერი საკმაოდ სახალისოდ მომეჩვენებოდა, მაგრამ მაშინ საშინელებებზე ვფიქრობდი. ერთადერთი, რაზეც ძალა მყოფნიდა, ის იყო, რომ არაფერი შემემჩნია და არ შემეშინებინა, არ გამეწბილებინა საყვარელი ადამიანი. რალაც უხერხულად დავემშვიდობეთ ერთმანეთს და წავედი.

ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს დღე დადგებოდა: ჩემი საყვარელი ადამიანი ხომ ამის

შესახებ ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდან ოცნებობდა. მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ ასე შემეშინებოდა.

მითხრეს, რომ 6 საათზე დამერეკა იმის გასაგებად, როგორ მიდიოდა საქმე. 5-ზე უკვე პალატის ფანჯრის ქვეშ ვიდექი. ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება იჯდე სხვის სახლში, თუნდაც ეს სახლი შენი კარგი მეგობრების იყოს, როდესაც შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი საოპერაციო მაგიდაზე წევს. ჩემდა გასაკვირად, ფანჯრიდან აღმოვაჩინე, რომ ის უკვე საწოლში იწვა. გარშემო ექთნები დარბოდნენ, წვეთოვანი ედგა. თუმცა, რახან ყველაფერი მორჩა, აქ უკვე შეიძლებოდა ამოსუნთქვა.

6 საათამდე მინუს ათგრადუსიან ყინვაში დავდოდი წინ და უკან და ვცდილობდი, მედპერსონალის მოძრაობის მიხედვით ამომეცნო, რა ხდებოდა. 6-ზე ჩვენი ნაცნობები მოვიდნენ და ერთად შევედით პაციენტის მოსანახულებლად. ნაცნობმა გამაფრთხილა, რომ შესაძლებელი იყო, ვერ ვეცნე და ზოგადად, ნარკოზის მერე ადამიანები სისულელეებს ლაპარაკობენ და უცნაურად იქცევიან. თუმცა, ჩემმა ქმარმა მიცნო და გამიღიმა კიდევ, როგორც შეეძლო. მოყვითალო-მოყავისფრო ფერი ედო, თითქოს იოდი გადაავლესო, ბინტებში იყო გახვეული და კათეტერები ედგა, თუმცა მითხრა, რომ როგორც კი თვალი გაახილა, დაინახა თავისი გადახვეული მკერდი, მიხვდა, რომ სარძევე ჯირკვლები უკვე აღარ აქვს და დამშვიდდა, რომ ყველაფერი კარგად იყო. მეც ვიცოდი, რომ აწი ყველაფერი წესრიგში იქნებოდა.



საქმე

რწმენა მომავლის, იმედი

- აი, რა არის ჩვენი რწმენა. ვიბადებით და ადრე ვზვდებით იმას, რომ ყველაზე ცუდი თამაში ბუნებამ ითამაშა ჩვენზე. ხშირად ვსვამდი კითხვას: „ღმერთო, რისთვის ასეთი სასჯელი, განსაცდელი ან ტვირთი?“ პასუხი ვერ მოვიძიე, თუმცა, რწმენა არ დამიკარგავს, ისევე, როგორც იმედი.

ტკივილი

- ყველაზე მარგებელი უმეტეს შემთხვევაში. ტკივილი გვვაძლიერებს. ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა. გამაძლიერა. გამახსენა, რომ მხოლოდ იმედსა და რწმენაზე დამოკიდებული ვერ ვიქნები, თუმცა, რაც არ უნდა იყოს, თავის იარაღს ტოვებს. მაშინ, როდესაც მშობლის იმედი გაქვს, მაშინ როდესაც მეგობრის თანადგომა გჭირდება და ხდება ისე, რომ აცნობიერებ: ყველაზე დიდ ტკივილს ამ კატეგორიის ადამიანები გაყენებენ! ხშირად ვფიქრობდი, თუ მშობელს არ ვჭირდები ისეთი, როგორც თავად მშობა, სხვა ვინ მიმიღებს, ვინ გაიგებს. თუმცა, იმედი არ დამიკარგავს ამ შემთხვევაშიც და გავაგრძელებ ბრძოლა არსებობისთვის.

ოჯახი

- ეს ის საფუძველია, საიდანაც, წესით, ბავშვები მაგალითს ვიღებდით. კი - დროც, რომელშიც





გავიზარდე, არც ისეთი იოლი იყო და ინფორმაციული ვაკუუმი არსებობდა, თუმცა, მაინც არ მივესალმები იმას, რაც პირადად მე გამიკეთეს. ჩემს შემთხვევაში, თავად შევქმენი ოჯახის სტერეოტიპი, ვცდილობდი, ჩემთვის მისაღები საუკეთესო მაგალითები დამენახა ყველგან, ამეთვისებინა და შემდგომში, როდესაც ჩემს ოჯახს შევქმნიდი, ამ გზით განმევიტარებინა. მართალია, ოჯახი ძალზედ რთული ინსტიტუტია, რომელსაც მხოლოდ მაგალითებით ვერ გამოზრდი და ვერ გამოკვებავ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. დედამ ჩემს მოსაკლავად გამოიწია და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ძალიან მიყვარს, მენატრება. სამწუხაროდ, რამდენიმე მცდელობის შემდეგაც მას ჩემი თავი ვერ შევაყვარე. ხშირად ბავშვები ვხვდებით, რომ მშობელი არ არის დაბადებული იმისთვის, რომ იყოს მშობელი და შენ მისი შეცდომა ხარ, ასე რომ, ამით გვინევს ცხოვრება. ასეც ხდება.

დაცვა

- ასევე, ოჯახის ერთ-ერთი ფუნქციაა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ჩემი აზრით, ოდნავ გადაჭარბებულია ეგ ფუნქცია და ბევრი მშობელი თავის შვილს სიბერემდე მისდევს. თუმცა, იშვიათად ხდება ეს ლგბტ ადამიანების მიმართ. ჩვენ ადრე ვტოვებთ ჩვენს ბუდეს, ადრე გვინევს ცხოვრების სირთულეებთან შეჭიდება. ჩვენს შემთხვევაში სირთულეები 100% -ით აჭარბებს, დაწყებული თვითდამკვიდრებიდან, დამთავრებული უბრალო წყნარი ცხოვრებით. ერთგულეა ხშირად უსარგებლოა. ამიტომ უბრალოდ ვრჩები ჩემი თავის ერთგული.

ბედნიერება

- პირველი ბედნიერი ნაბიჯი, დამოუკიდებელი, ოდნავ რომ მიუახლოვდი მიზანს. მახსოვს როდესაც გადავწყვიტე ოპერაციის გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ ეს, უბრალოდ, მამოპლასტიკა იყო, ბედნიერი დავნექი საოპერაციო მაგიდაზე და ბევრად ბედნიერმა გავიღვიძე; მიუხედავად იმ ტკივილასა, რომელსაც ბედნიერებისგან ვერც კი აღვიქვამდი ადეკვატურად. ეს იყო პირველი ნაბიჯი, პირველი პატარა ნაბიჯი დიდი მიზნისკენ, შემდგომ - ჰორმონები. ყოველდღე აკვირდები შენი სხეულის გარდაქმნას, ხედავ იმას, რისი მიღწევაც გსურს. და ეს ყველაფერი ნელ-ნელა გაძლევს შვებას, გიბრუნებს იმედს, იმედს იმისას, რომ ოდესმე შენც შეძლებ მშვიდ ცხოვრებას, რომ ოდესმე, როცა შენი სახე აღარავის ემახსოვრება, რადგან ზურგი შეგაქციეს ყველაზე რთულ პერიოდში, დადგები ამაყად და გულში მაინც გაიფიქრებ: „შემომხედეთ, რითი განვსხვავდებით?“ ღლეს მე თითქმის მივალწიე მიზანს, თუმცა შიში იმის რომ გაგაჩერებს ვინმე, პოლიციელი და შეგიმონმებს საბუთებს, რომელიც ამჟამად არანაირად არ ემთხვევა ჩემს იერს, აი სად არის ჯერ კიდევ დაძაბულობა.

მაგრამ ჩემს თავს ვეუბნები, რომ თუ ამდენს მივალწიე, ბოლომდე მივალ!!! მივალ, იმიტომ, რომ მყავს საყვარელი ადამიანი, მივალ იმიტომ, რომ როგორც ყველა ადამიანი ამ დედამიწაზე, მეც ვიმსახურებ ამას, მივალ უბრალოდ იმიტომ, რომ ცოცხალი ვარ!!!

განურჩევლათ, სქესისა, სიმაღლისა, კანის ფერისა და რელიგიური სარწმუნოებისა. ერთნაირად გვტკივა, გვიყვარს, გვიხარია და გვწყინს.

უბრალოდ — ადამიანები ვართ.

სხვა

ტრანსპენდერი

პატარაობიდანვე ვიცოდი, ვგრძნობდი, რომ განსხვავებული ვიყავი. ვიცოდი, რომ ბიჭების სათამაშოებით, ბიჭებთან ერთად თამაში მერჩივნა. ვიცოდი, რომ მოკლე თმით უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს. მოზარდი როცა გავხდი, უკვე ისიც ვიცოდი, რომ სხეული, რომლითაც დავიბადე, ჩემი არ უნდა ყოფილიყო. სკოლაში ქალაბიჭას მეძახდნენ და რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო მთხოვდნენ, გოგოსავით მოვქცეულიყავი, გოგოსავით ჩამეცვა, მევლო, მელაპარაკა.

ბევრი ტრანს ადამიანისთვის ეს ნაცნობი, სრულიად რეალური და მტკივნეული გამოცდილებაა. ჩემთვის – არა. ბევრი ტრანსი ადამიანი გეტყვით, რომ ასეთებად დაიბადნენ. მე ასეთი არ დავბადებულვარ.

(ბევრი გეი და ლესბოსელიც თვლის, რომ ასეთებად დაიბადნენ და ეს მათი საქმეა. ჩემთვის „ასეთად დაბადებულობის“ მტკიცება თავის მართლებასავითაა, ის, რომ „ასეთად დავიბადე და ვერ შევიცვლეები, ჩემზე არაა დამოკიდებული, არაფერზეა დამოკიდებული“).

მე „დავიბადე“, უფრო ზუსტად, „გამზარდეს“ ჰეტეროსექსუალ, სისგენდერ, მორწმუნე, უფრო სწორად, ილია II რომ ღმერთი ჰგონია, იმ დამჯერ გოგოდ. 22 წლამდე არ მიფიქრია საკუთარ გენდერულ იდენტობაზე. ისევე, როგორც არ მიფიქრია საკუთარ სექსუალობაზე 18 წლამდე.

როცა გარკვეული გარემოებების გამო დედაჩემისთვის იმის თქმა მომიწია, რომ ჰეტეროსექსუალი არ ვარ და ის თავს იკლავდა,





მერე კი, გინდა თუ არა, გამოსავალი უნდა მოძებნო (ანუ, უნდა შეიცვალო), იმ სიტუაციაში ზუსტად იმას ვუმტკიცებდი, რომ ასეთი ვარ, ასეთი ვიყავი და არაფერი შემცვლის-მეთქი. მოკლედ, მიმღებლობაზე სამუშაოდ, სექსუალობა იქნება ეს თუ გენდერული იდენტობა, ერთ-ერთი იოლი გზაა, ის აუხსნა და დაუმტკიცო ადამიანს, რომ ეს ყველაფერი თანდაყოლილია და შენი ბრალი არაა. (არადა, ვთვლი, რომ დიდწილად ზუსტად „ჩემი ბრალი“, რაც ძალიანაც მახარებს და მეამაყება).

მე რომ არა, ჩემი ღიაობა და საიდანტაც მოსული მზაობა და სურვილი იმისა, რომ საკუთარ თავში რაღაცები აღმოვაჩინო, ალბათ ისევ ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები მექნებოდა და არც საკუთარ გენდერს დავსვამდი კითხვის ნიშნის ქვეშ. ჯერ სექსუალობის მხრივ გამოვცადე ის, რომ ყველას ჰეტეროსექსუალი ჰგონიხარ და უკვირთ, როცა იგებენ, რომ ლესბოსელი ხარ. მერე, როცა ადამიანებს ეუბნები, რომ გოგოდ არ აღიქვამ თავს... ეგ როგორ, ძალიან გოგოსავით გამოიყურები და, კარგ შემთხვევაში უკვირთ და/ან სერიოზულად არ აღიქვამენ ჩემს ნათქვამს. მით უმეტეს, იმას არ ეუბნები, რომ გოგო კი არა, ბიჭი ხარ. არ ეუბნები ამას იმიტომ, რომ არც გოგო ხარ და არც ბიჭი.

ის, რომ მე საერთოდ არ აღვიქვამ თავს „ფემინურად“ და არც ჩემი გრძელი თმაა ჩემთვის „ფემინურობის“ ნიშანი, სხვებისთვის არაა იოლი გასაგები. პროტესტის ნიშნად არ

შემიჭრია თმა მაშინაც, როცა ჩემი სექსუალობის უკვირდათ. არ მიცდია, რომ სტერეოტიპული გარეგნობა მომერგო, რაც ალბათ ბევრ რამეს გააიოლებდა. თუმცა, ადამიანების დაბნევა, ალბათ, მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ მარტო დაბნეულობის გამოწვევაზე არაა საქმე. თუმცა, მერე იღლები კიდეც, როცა ადამიანთა უმეტესობა არასწორად აღგიქვამს. იმიტომ, რომ „ლესბოსელს არ ჰგავხარ“, იმიტომ, რომ „გოგოსავით“ გამოიყურები.

ბევრთან არც კი ვახსენებ იმას, რომ სისგენდერი არ ვარ. არ ვახსენებ, იმიტომ, რომ არ მინდა მერე ახსნა-განმარტებების მიყოლება. ჯერ ის, რომ ტრანსსექსუალი არ ხარ. და ამის იქით ცოდნა ძალიან ცოტა გვაქვს. და მერე კიდეც ის, რომ ეს ჩემი გენდერულად ქვიარობა თანდაყოლილი არაა. ყოველთვის არ იცოდი, რაც თითქოს ვალიდურობას აცლის შენს გენდერულ იდენტობას. ვალიდურობას აცლის, თუ ტრანსსექსუალი არ ხარ, სრული ტრანზიციია არ გინდა და არ იტანჯები იმის ცოდნით, რომ არასწორ სხეულში ხარ მანამ, სანამ ტრანზიციას არ გაივლი. ბევრი ადამიანისთვის ეს ასეა, მაგრამ მხოლოდ ამ ტიპის ისტორიები და ამ ტიპის ისტორიების მქონე ადამიანები არ არსებობენ.

არ ვარ არასწორ სხეულში დაბადებული, სხვის სხეულში გამომწყვდეული, ის, რომ მასტექტომიის გაკეთება მინდა, არ ნიშნავს იმას, რომ ტრანსსექსუალი ვარ და ტრანზიციის „ყველა ეტაპის“ გავლა მინდა. ტრანზი-





ციის ნებისმიერი ეტაპი ჩემთვის საკუთარი თავის სიყვარული და მასზე ზრუნვაა, აუცილებლობაა, სიცოცხლის სურვილია. აუცილებელი კომფორტია.

ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი გამოცდილებები გვაქვს, ჩემს შემთხვევაში ის, რომ ტრანსივარ, ტანჯვა არაა. პირიქით, ძალიანაც მაგარი. პრინციპში, დღეს იქნებ იმაზე ნაკლებ მსიამოვნებს და მახარებს ეს ჩემი აღმოჩენა საკუთარი გენდერული იდენტობის მხრივ, ვიდრე აღმოჩენის პირველ პერიოდში მსიამოვნებდა. ძალიან რთულია ტრანსი ტანჯვის სინონიმად არ ვაქციოთ. ის, რომ ჰეტეროვეგონივარ ვილაცას, დიდად არ მადარდებს, და თან ამას უფრო მარტივად აგებინებ. აი, როცა სისგენდერი ჰგონიხარ ადამიანს, ჩემთვის მაშინ უკვე ხაზი ესმევა რალაცას უფრო მეტს. შეიძლება, სექსუალობა, სექსუალური პრაქტიკები და პრეფერენციები ნაწილია ჩემი. გენდერული იდენტობა კი მე ვარ და ამდროს არიან ადამიანები, რომლებიც გეუბნებიან, ვინ ხარ.

თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ ძალადობა ადამიანისთვის ზიანის მიყენებაა, ადამიანზე ძალადობის უამრავი ფორმა და საშუალება არსებობს. სიტყვიერი ძალადობა სრულიად რეალური რამაა. შეიძლება, ადამიანზე ფიზიკურად არ ძალადობ, არ ცემ და ურტყამ, მაგრამ უთქვამთ შენთვის, რა ნაცვალსახელები უნდა გამოიყენო (მაგალითად ინგლისურ ენაში. იმიტომ, რომ ქართულში ნაცვალსახელები გენდერულად დატვირთული არ გვაქვს.

სამაგიეროდ გვაქვს მიმართვები, „გოგო“, „გოგონა“, „ქალბატონო“...); უთქვამთ, რომ არ სიამოვნებთ, როცა გოგოთი მიმართავ, და ამას მაინც აკეთებ, შენ ძალადობ ადამიანზე. ამ სიტყვებით შენ მის გენდერულ იდენტობას აიგნორებ, უარყოფ, და ეუბნები, რომ შენ უკეთ იცი, ის ვინ არის, ან რომ შენ არ გადარდებს, ის ვინ არის და როგორც გინდა, ისე მიმართავ, ან ზუსტად, იმიტომ აკეთებ ამას, რომ ადამიანს შეურაცხყოფა მიაყენო. სიტყვებით შენ მის მთელ არსებაზე ძალადობ. როცა ადამიანი გენდობა, საკუთარ გენდერულ იდენტობაზე რაღაცას გეუბნება, და გთხოვს, ან მოგთხოვს, რომ კონკრეტული სიტყვები ან ნაცვალსახელები მასთან მიმართებაში არ გამოიყენო და შენ მაინც შენსას არ იშლი, ამით აკეთებ განაცხადს, რომლითაც ამბობ, რომ მისი ავტონომიურობა არაფერია. ის, რომ არ იცი, ადამიანი როგორ ახდენს იდენტიფიცირებას, შენ კი ის გოგო/ბიჭი გგონია და მიმართავ გოგოთი/ბიჭოთი, ეგ რომ ძალადობაა, ამის ადგილი აქ აღარც რჩება.

მინდოდა ბედნიერი ტრანს ნარატივი დამენერა, ისედაც ყოველთვის ძალადობაზე, უმუშევრობაზე, უსახლკარობასა თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან ერთად გვესმის ხოლმე ტრანს ადამიანებზე ისტორიები. არადა, ტრავიკული არა თავად ტრანს იდენტობებია და ის, რომ ტრანს-გენდერი ხარ, არამედ დამოკიდებულებები ტრანს ადამიანების მიმართ, რაც ტრანსგენდერად ყოფნას ტანჯვად გიქცევს.



ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მე გავაცნობიერე, ვინ ვიყავი... დავინწყე ფიქრი და გამოსავლების ძიება.

ანდა, თავიდან ყველაფერი კარგად იყო

5 წლის რომ ვიყავი, შევამჩნიე, რომ მთართვა „გოგო“ არ მსიამოვნებდა. ვიცვამდი ბიჭის ტანსაცმელს და ვგრძნობდი თავს კომფორტულად. მეგონა, რომ ჩემი სხეული ყოველთვის ასეთი დარჩებოდა, მაგრამ შევცდი.

გარდატეხის ასაკში განცდილმა სხეულის ცვლილებებმა ჩემში ქაოსი შემოიტანეს. ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა, დამეწყო საკუთარი გარეგნობის, სხეულის ზიზღი. მინდოდა, ეს მკერდი სადმე გამქრალიყო და ყველაფერი ისე დაბრუნებულიყო, როგორც - ადრე.

სკოლის პერიოდი მახსოვს. ვიხსენებ, როგორ მიჩნდებოდა დისკომფორტი, როდესაც ვინმე მეძახდა ჩემს სახელს ან სიტყვა „გოგოს.“ ამიტომ მოვიგონე ჩემთვის შესაფერისი ზედმეტსახელი და ყველას მოვთხოვე, ჩემთვის მოემართათ ისე, როგორც მე მსურდა... არ მიყვარდა კაბების, ხელჩანთების ტარება. არ მიყვარდა მაკიაჟი. დედაჩემი ყოველთვის ამართლებდა ამას იმით, რომ უპირატესობას ვანიჭებდი ბუნებრივ სილამაზეს. სტილზე კი, ალბათ, გარემო ფაქტორები ახდენდნენ გავლენას. მსიამოვნებდა, როცა ხალხი ვერ ხვდებოდა ჩემს სქესს და მეკითხებოდნენ, გოგო ვიყავი თუ ბიჭი. მე კი ამაყად ვპასუხობდი, ბიჭი ვარ-მეთქი.

პირველად რომ შემეცვარდა, პატარა ვიყავი. მიყვარდა გოგო. მიყვარდა გოგო არა იმიტომ, რომ ბილოგიურად იყო გოგო. არა... მე მასში მიყვარდა მისი ადამიანობა, მიყვარდა მის სამყაროში „მე“, მიყვარდა მისი აზროვნება, ქცევები, ხასიათები... მიყვარდა პიროვნულად.

მოზრადობისას შემეცვარდა ბიჭი. შემეცვარდა მისი ადამიანობა. ყველაფერი მიყვარდა, რაც მასში იყო. თუმცა, ამის გამო ავირიე. თავს ვაიგივებდი გეისთან და საკუთარ თავში ეჭვიც კი შემეპარა. იქნებ არ ვარ ის, რადაც ვთვლი თავს. საკუთარ მეს ვუსვამდი შეკითხვას, რატომ მაინცდამაინც ბიჭი...

ამავდროულად, ვერ აღვიქვამდი საკუთარ სხეულს. ყველაფერი მძულდა ჩემში, დამენყო დეპრესია, ვგრძნობდი დისკომფორტს.

ხანი გავიდა და პიროვნულობის განვითარების ახალ ეტაპზე გადავედი. აღმოვაჩინე, რომ არ ვარ მარტო. ამან ძალა მომცა. მივხვდი, რომ ადამიანში მთავარი ადამიანობაა. უნდა გიყვარდეს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხარ.

და დღესდღეობით, იმის მიუხედავად, რომ მე ვიყავი ძალადობის მსხვერპლი, იმის გამო, რომ ვერ მიტანს ხალხი ჩემი განსხვავებული ხედვით, მე მაინც ვარ ბედნიერი. ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ მე არ მძულს ხალხი, მე მიყვარს საკუთარი თავი და გვერდით მყავს ადამიანები, რომლებსაც ესმით ჩემი.

MAX DEUS
ბღსარება

ჩემი ამბავი ჯერ კიდევ დედის წიაღიდან იწყება. არ ვიცი, რა გარეფაქტორებს შეეძლოთ ამაზე გავლენის მოხდენა, მაგრამ მე გენდერული იდენტობის დარღვევით დავიბადე. გენდერული დისფორია (გენდერული იდენტობის აშლილობა) - ეს არის ტრანსგენდერული მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არ შეუძლია, ბოლომდე მიიღოს თავისი გენდერული სტატუსი როგორც ქალმა ან კაცმა. მარტივად რომ ვთქვა, მე ვარ უბრალოდ ბიჭი, რომელიც ქალის სხეულით ცხოვრობს. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ყოველ ღამით ვთხოვდი ღმერთს, გადავექცეო იმად, რაც სინამდვილეში ვიყავი, და რა თქმა უნდა, ვერ ვაცნობიერებდი, რატომ ვთხოვდი ამას. ეს ყველაფერი სისულელედ, უაზრობად მეჩვენებოდა, მაგრამ გავუბოდი დილაობით იმედგაცრუებას, სარკეში საკუთარი ანარეკლის მიმართ ზიზღს კი გულში ღრმად ვინახავდი. წლები გადიოდა, ვიზრდებოდი და იზრდებოდა ჩემი ზიზღიც, რაც, თავის მხრივ, ყოველგვარ სიყვარულს კლავდა ჩემში საკუთარი თავის მიმართ. სარკეში ვხედავდი სუსტ, მშიმარა ადამიანს, რომლისგანაც ვერაფრით ვთავისუფლდებოდი, რომელიც მძულდა მთელი გულით.

მეჩვენებოდა, რომ გამოსავალი ვირტუალურ ქსელში ვიპოვე, საკუთარი თავისგან შექმენი პერსონაჟი, რომლის დანახვაც სარკის ანარეკლში მიწოდოდა. ქსელში არსებულ მილიარდ ადამიანს შორის ვიპოვე ის, რომელმაც სამუდამოდ გადაატრიალა ჩემი ცხოვრება, ვისი წყალობითაც მოვიპოვე და შევიყვარე საკუთარი თავი, ის, ვინც მე ბედნიერი გამხადა. მე მესმოდა, რომ ეს ყველაფერი სამუდამო არ იქნებოდა - სამყაროში, რომელსაც თავად ალსასრული ელოდება, ხომ ვერაფერი იქნება მარადიული. მაგრამ ჩემს გულს არ სურდა ამის დაჯერება. დღემდე პერიოდულად უკან ვიხედები ხოლმე, რომ თვალი გადავავლო მოგონებებს მასზე, ჩვენზე. დასანანია, რომ არ შემიძლია

ნარსულში დაბრუნება და მასთან ერთად გატარებული ყოველი წამის თავიდან განცდა. საშინელება იმის წარმოდგენაც კი, რომ შესაძლებელია, ის არც არსებულებო. გავიდა ამდენი დრო და მე დღემდე მახსოვს იანვრის ის არაჩვეულებრივი საღამო, როცა გავიცანი, და სულელური ფრაზა, რითაც ყველაფერი დაიწყო: „მოჩვენებების გემინია?“ შემეყვარდა, მაგრამ მუდმივად მეჩვენებოდა, რომ თითქოს მას უფრო მეტად ვუყვარდი. ვერ ვხვდებოდი, როგორ შეეძლო ჰყვარებოდა ისეთი დებურესიული ადამიანი, როგორიც მე ვარ, ადამიანი, რომელიც მუდმივად ემოციებით სპეკულირებდა, ოღონდ კი ეგრძნო, რომ უყვართ. მას დიდი ხნის განმავლობაში ვუყვარდი და ბრმად ეჯერა ჩემი. მე მშიშარა ეგოისტი ნაბიჭვარი ვიყავი, რომელსაც ეშინოდა, გაემხილა მისთვის თავისი ნამდვილი ბიოლოგიური სქესი, მაგრამ სიმართლის გაგებაამც კი ვერ შეუშალა მას ხელი, რომ კვლავ დაბრუნებულიყო ჩემთან. ორივეს გვესმოდა, რომ ახლა უკვე ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. „ჩვენ“ გახდა „მე“ და „შენ“, იმის მიუხედავად, რომ გრძნობები არსად წასულა და



დღითიდღე უფრო ძლიერდებოდა.

ვერ იტანდა მთელს ჩემს საუბრებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩემს შიგნით, უყვარდა ის, ვისი ანარეკლიც მე მძულდა, მაგრამ მისი წყალობით ვისწავლე, როგორ უნდა შემეყვარებინა საკუთარი თავი, ჩემ მიერ დანახული სამყარო შეიცვალა და ნათელი ფერები შეიძინა. როგორ შემეძლო, არ მყვარებოდა საკუთარი თავი, მაშინ, როცა ყოველ ჯერზე, როდესაც ის ჩემს შეყვარებულ თვალებს აწყდებოდა, უხერხულობისგან იშმუშნებოდა, მისი უძირო და მუქი თვალები კი სიყვარულით, ბედნიერებით ივსებოდა, მე კი ვერ ვძლებოდი მისი ცქერით. უსასრულოდ მიყვარდა, მისით ვსუნთქავდი, ის კი ხშირად თავისი სიტყვებითა და საქციელით გზას უღობავდა ჩემს სუნთქვას. სურდა, რომ მის ცხოვრებაში მხოლოდ ჩრდილის როლი მქონოდა. მერე კი მთლიანად გადამიკეტა ეს სუნთქვა _ წავიდა. არ ვიცოდი, რა მექნა, სად წამელო საკუთარი თავი. ადრე ცოტა რამ გამეგო გენდერული დისფორიის შესახებ, არც ვაპირებდი სქესის შეცვლას, არც კი ვფიქრობდი ამაზე და არავის განვსჯიდი, ვთვლიდი, რომ ყველა თავად ირჩევს საკუთარ გზას _ ვილაცხები საკუთარ თავს ებრძვიან, ვილაცხები კი საზოგადოებას. დავინწყე ამის შესახებ მეტი და მეტი ინფორმაციის მოძიება, და ასე მივაგენი საკუთარ თავს, მოვიპოვე თავისუფლება, თითქოს საკუთარი „მეს“ თავსატეხი ავანწყვე. განშორების მერე ვეძებდი სიტყვებს მის დასაბრუნებლად, ვწერდი სულელურ, უთავბოლო წერილებს, ლექსებს, და დღემდე ვინახავ ყველა ჩემს აღიარებას. ბოლოს იანვრის მოსვლამდე მივწერე, მეშინოდა იანვრის დადგომის მის გარეშე.

„უკვე დეკემბერია, მალე იანვარი დადგება. ოდესღაც არაჩვეულებრივად თბილი იანვარი ამჯერად აღარ მოვა ჩვენთან. ახლა ის განსაკუთრებით ცივი და მარტოსული იქნება, ჩემს ძარღვებში კი უკვე დიდი ხანია სიცივე ჩქეფს, ჩემი ბაგეებიდანაც, ოდესღაც რომ სიყვარულის სიტყვები სწყდებოდა, მხო-

ლოდ სიცივე მოდის. რომ შემეძლოს და დავუბრუნდე იმ მომენტს, არ მოგცემდი არც შენ და არც საკუთარ თავს უფლებას, გვეყვარებოდა. სიყვარული – ეს საჩუქარია, რომელიც დროის განმავლობაში ფეხქვეშ გავთელით. ისეთი ახალგაზდები და გამოუცდელები ვიყავით; თითოეული ჩვენგანი თავისი შიშებისა და მარტოობის ბორკილებში ცხოვრობდა, ვერ შევძელით, გავფრთხილებოდით იმ ნათელს, რაც შიგნიდან გვატობდა. გულები დანით დაჭურით, სიყვარულით აღსავსე თვალები წამში გადაიქცნენ უძირო სიცარიელედ, ტკივილად, დაღლილობად.“

მოულოდნელად დაბრუნდა. იმ მომენტში, როცა უკვე მე მის მოლოდინზე ხელი მქონდა ჩაქნეული. როგორი ბედნიერი ვიყავი. რწმენითა და იმედით აღვივსე, მეგონა, რომ ჩემი გადაწყვეტილების გაგების შემდეგ ის ჩემთან ერთად გააგრძელებდა ბრძოლას. შევცდი. მისთვის ეს ყველაფერი უცხო იყო; ისევე, როგორც ადრე, აღმიქვამდა ჩრდილად, მისი სიყვარული ჩემ მიმართ შემოიფარგლებოდა იმით, რომ სურდა, ეხილა კაცი ქალის გარეგნობით, მე კი ამის მიცემა



არ შემედლო მისთვის. მისი სიტყვებით რომ ვთქვა, მისთვის საერთოდ არაფრის მიცემა შემედლო საკუთარი სიყვარულის გარდა, რაც საკმარისი არ იყო. ყოველთვის მეუბნებოდა ამას, ყოველთვის გულწრფელი იყო, მე კი, სულელი, არ ვიჯერებდი და ღია კარს ვამტვრევდი. ისევ წავიდა. ამჯერად წარსულში დამტოვა. იქნებ არ წასულიყო, მის გვერდით რომ ვყოფილიყავი? არ ვიცი. დავიღალე უკვე ამ „იქნებ“-ის გარჩევით.

მიყვარს თუ არა ახლა? განა შეიძლება დაგავინწყდეს ის, რაც შენში ცხოვრობდა? მიყვარს ის, რომელიც მიყურებდა ყველაზე მოსიყვარულე თვალებით, ის, რომელიც ჩემთვის ზემფირას სიმღერებს მღეროდა, მაგრამ ეზიზღებოდა ასაი და მთელი რეპი, ყველა ის სიმღერა, რომელიც მასზე იყო შექმნილი; მიყვარს ის, რომელიც მელოდებოდა თავის ცივ და წვიმიან პეტერბურგში, ის, რომელთანაც მარტივად და ბედნიერად ვსაუბრობდი, ახლა კი ყოველი სიტყვის წარმოთქმა ტკივილის გავლით მიწევს. მიყვარს საკუთარი წარსული ახლანდელ დროში. მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უკან მომიტოვა და ჰყავს საყვარელი ადამიანი, ვისთან ერთადაც ახლა ბედნიერია. იქნებ ის მართალიცაა და მე არ შემიძლია იმ ფაქტთან შეგუება, რომ ჩემ გარეშე ბედნიერი? მაგრამ მე უკვე დიდი ხანია, აღარა ვარ ის სულელი და კეთილი მოჩვენება კასპერი, რომელიც მას ყველაფერს პატიობდა; აღარ ვარ ის პიტერ პენი, რომელმაც მას ფრენა ასწავლა, და აღარც ის უჭკუო მექუდე, რომელმაც სასწაულის რწმენა აჩუქა (სულელები ვიყავით _ ერთმანეთს ფილმებისა და მულტფილმების პერსონაჟებს ვადარებდით). შეიძლება, არც ახლა ვარ საკმარისად ბრძენი, რომ ყველაფერი სწორად გავიგო, მივიღო და ვაპატიო. ჩემში არაფერი დარჩა ძველი „მესგან“, ხანდახან საკუთარი თავიც მენატრება, მაგრამ ჩემში არასდროს მოკვდება კარგი მომავლის რწმენა და მისკენ სწრაფვის სურვილი. იმედი მაქვს, რომ სადღაც არსებობს სწო-

რედ ის, ის ერთადრთი, რომელსაც არ შეეშინდება, რომელიც გაბედავს, ვუყვარდე ნამდვილი მე.

ჩემი პირველი სიყვარულის ისტორია, მინდა, ჩემივე ოთხსტრიქონიანი ლექსით დავასრულო:


„მსხვრევამ რიფებზე მე ვერ მომკლა

სისხლისგან დაცლილმა ბრმად გავაგრძელე ცურვა სიყვარულის ზღვაში,

მინდოდა, ზღვის ფსკერის ცოდნა

მაგრამ არ ჩანდა ფსკერი, რადგან ზღვაც არსებობდა მხოლოდ წარმოსახვაში.“

ამ აღსარების კითხვისას ბევრი უბადრუკ ადამიანად ჩამთვლის, მაგრამ მე თუ აქ ვარ და საკუთარ თავზე ვსაუბრობ, ესე იგი, არ მეშინია, რომ ვიყო ის, რაც ვარ; ის პატარა ბიჭი იზრდება, თავად სწავლობს საოცრებების ჩადენას, და აუცილებლად იქცევა კაცად. სისულელეა, ელოდო სასწაულებს; იცხოვრო შიშისა და ზიზლის ბორკილებით, ეძებდე მიზეზებს, თუ რატომაა შენი ცხოვრება უაზრო, სვამდე შეკითხვებს, რატომ მაინცდამაინც შენ შეგემთხვა ეს ყველაფერი. მაგრამ ამაზე უარესია, მთელი შენი ცხოვრება გადადო სამომავლოდ



– ყველამ კარგად ვიცით, საითაც შეიძლება, წაგვიყვანოს ამ გზამ. თავად ფენომენი - გენდერული დისფორია - ცოტასთვის თუა ცნობილი, და თუ ვინმემ იცის, რას ნიშნავს, რატომღაც რალაც ცოდვად მიიჩნევენ ამას, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენდერობაზე პირდაპირი მინიშნება ბიბლიაში არავის უნახავს. რამდენიმე მუსულმანურ ქვეყანაში კი, მაგალითად, ირანში, სახელმწიფო ოპერაციის საფასურის ნახევარს ფარავს, ასევე, თუ ადამიანი მსგავს რადიკალურ გადაწყვეტილებას იღებს და სახელმწიფო ორგანოებისგანაც თანხმობა აქვს, მოფიქრების დროს მას პრაქტიკულად არ აძლევენ და აუცილებელი ფორმალური საკითხების მოგვარებისთანავე უტარებენ ოპერაციას.

ოპერაციის შემდეგ სქესის შეცვლის ფაქტი დასტურდება და აღინიშნება დაბადების მონიშნებასა და სხვა საბუთებში. თუმცა, უნდა ითქვას აქვე, რომ ეს ის ქვეყანაა, სადაც გეებსა და ლესბოსელებს საჯაროდ სჯიან სიკვდილით. ხალხს ეშინია ჩვენი, სასტიკად გვეპყრობიან, ხანდახან ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც არ შეუძლიათ ჩვენი მიღება. სტატისტიკის მიხედვით ტრანსგენდერ ადამიანთა უმეტესობა თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. ამ პრობლემის შესახებ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. რა თქმა უნდა, ბევრ რამეში თავადაც ვართ დამნაშავეები - საზოგადოებისგან თავი შორს გვიჭირავს, შიშის ქვეშ ვცხოვრობთ. გენდერული დისფორია - ესაა პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას და ამისათვის ყოველმა ჩვენგანმა თავისი გზა უნდა აირჩიოს. სამყარო ბევრ შესაძლებლობას გვაძლევს, ბევრი გზაა გახსნილი, მთავარია სწრაფვა და თავდაჯერება, ბარიერები ყოველთვის იარსებებს და მათ ღირსეულად უნდა გავუმკლავდეთ. თავად ცხოვრებაც ხომ საოცრებაა, ერთ პრობლემაზე ჩაცვიკვა და მასზე გადაყოლა სისულელეა, არასწორია. დრო არ იცდის.

ლიბა გვიანი

მთელ კორპუსში სიბნელე იდგა, უბანში შუქი იყო გათიშული, თუმცა ნინის ოჯახი თავის ყოველდღიურ ცხოვრებას მაინც არ იყო მოწყვეტილი და, მიუხედავად იმისა, რომ სახლში არაფერი ჩანდა, ყველა წვერი, მათ შორის, გიორგიც, იგივენაირად ატარებდა დღეს, როგორც - ყოველთვის. დედა იდგა და ლოცვებს კითხულობდა, მამა მუშაობით იყო გატაცებული და საბუთებს ფურცლავენდა ნამდაუნუმ, ბებია გაზეთს უცქერდა სათვალეებით, ძმა გარდაცვლილი ბაბუის სურათის ქვეშ დივანში იყო ჩაფლული და წინასწარ დატენილი კომპიუტერით თამაშობდა უდარდელად, ნინი კი თავის ოთახში იყო შეკეტილი, ყველასაგან მოშორებით და მობილურის შუქზე უყურებდა სიტყვებით მოცულ, აჭრელებულ ფურცელს, რომელზეც თავში მოსულ რითმებს წერდა, თან ფიქრში გართული, ისე, უნებლიეთ, საკუთარ თავს აწვალებდა და თმებს ღერა-ღერა იგლეჯდა. დრო მიდიოდა, ყოველი დღე ასე გადიოდა, მაგრამ ნინისთვის არაფერი იცვლებოდა, არადა ცვლილებები ყველაზე მეტად სჭირდებოდა ცხოვრებაში.

გვიანი იყო, როცა უეცრად ნინის თავზე ნათურა აინთო და ანიშნა, რომ შუქი მოვიდა. ყველას ეძინა, ის კი კვლავ გამალებით განაგრძობდა წერას. თვალეები ჩასისხლიანებული ჰქონდა, სევდით სავსე, ცრემლებით ავსებული, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით გორდებოდნენ მის ანთილებულ ლოყებზე. ფურცელი უკვე სველი იყო, გიორგის თითებიც და კალამიც ცრემლის წვეთებში იყო გაჟღენთილი, როცა მან წერა დაასრულა, რვეულს გვერდზე, პატარა სკამზე მიუჩინა ადგილი, შუქი ჩააქრო და ტანსაცმლის გაუხდელად, ისე, როგორც იყო სანოლზე, თავი დადო და ძილს მიეცა.

„დედი, დედი სკოლაში დაგაგვიანდება. ადექი, ჩაი მზადაა, უცებ დავლიოთ და წავიდეთ.“ დედა, სასიამოვნო ქალბატონი, ეკა, ნინის თავზე ეფერებოდა და შვილს ფრთხილად აღვიძებდა. „დაგაგვიანდა, ცხრის 25 წუთია უკვე.“ ამ სიტყ-





ვებზე ნინი სუსტი კენესით ნელა წამოდგა ლოგინიდან და თვალები მოისრისა. „აი, ნახე, თვალები რას გიგავს, დედი, სიბნელეში რომ იცი ხოლმე მობილურის დანათება რვეულზე და ისე წერა, მაგის ბრალია, ნახე, როგორ ჩაგწითლებია.“ ნინიმ დედას დუმილით უპასუხა, თვალსაც არიდებდა და ქვემოთ იყურებოდა. დედამ ეს შეამჩნია, მაგრამ ყურადღება ამაზე არ გაამახვილა. „კარგი, დაიბანე პირი და წავიდეთ, ჰო?“ შვილმა დედას თავი დაუქნია და როცა ეკა კარისკენ წავიდა, ნინი ლოგინიდან ზანტად წამოდგა, ძირს დაგდებულ ჩანთას ხელი დაავლო და ოთახიდან გავიდა. ნინი სკოლისთვის გაემზადა, მაგრამ მიუხედავად დედის მუდარისა, არ უსაუზმია, ისე გავიდა სახლიდან.

„დედი, უბრალოდ პური მაინც შეჭამე,“ – ეკამ ნაღვლიანი ხმით კიდევ ერთხელ გასძახა უკვე კარიდან გასულ შვილს.

„არ მინდა,“ – ნინიმ ჩუმად უპასუხა და გზა გააგრძელა.

„ნაყვანა არ გინდა? მე წავიყვანდი მანქანით!“

„არა, წავალ ჩემით!“ – ბოლოჯერ მიაძახა ნინიმ დედას და სადარბაზოდან გავიდა. ნელი ნაბიჯებით უახლოვდებოდა შენობას, რომელსაც მთელი არსებით ვერ იტანდა და როცა სკოლა თვალში მოხვდა, გულისცემის სიჩქარე მოემატა, ძლიერად ურტყამდა მკერდს შიგნიდან, თითქმის გარეთ ვარდებოდა, ისე ფეთქავდა, მაგრამ ნინის სხვა გზა არ ჰქონდა და ფეხებს იგი მაინც სკოლის შენობამდე მიჰყავდათ. გარეთ ბიჭები იდგნენ და, როგორც ყოველთვის, მას ელოდებოდნენ.

„ნახე, ეს პიდარასტი მოდის, ამის ბოზი დედას შევეცი!“

„მოგიტყან გამზრდელი შე ყლეო!“ – ჰაერში შეურაცხმყოფელი სიტყვები ავარდა და ნინის ისრებით დაერჭო გულზე.

„დაიჭირეთ ეგ ყლისშვილი! მოდი აქ შენი!“ – სამი ნაცნობი და შემზარავი სახე უცებ ნინის წინ აღმოჩნდა და გზა გადაუკეტა, დანარჩენები კი უკნიდან ამოუდგნენ და გასაქცევი აღარ დაუტოვეს.

„ჰა, გეშინია პატარა? მოდი, მომეკარი და დამშვიდებ, არ გინდა, შე პიდარასტო?“ – მსუქანმა მეთერთმეტეკლასელმა ნინის ხელი სტაცა და ღიპზე მიინება ზურგით, დანარჩენები კი იცინოდნენ, როცა ნინი სქელი ხელებიდან თავის დაღწევას ცდილობდა. მაგრამ უეცრად, როდესაც ნინის ფართხალში ჩანთა მხრიდან ჩამოუცურდა და ძირს დავარდა, ის შიშით ადგილზე გაშრა და ერთ წერტილს მიაშტერდა ძირს, ასფალტზე, სადაც მისი ზურგჩანთიდან კოსმეტიკა გადმოიყარა და მიმოიფანტა.

„ჩემი კაი, ეს რა არი ტო?“


„შენი პედიკი დედა მოვტყან, ეს რა გინყვია, შე ყლეო?“


ნინის თვალები ცრემლებით ავესო და უეცრად ძალის მოზღვაება იგრძნო ხელებში, რამაც მაშინვე დააღწევინა თავი იმ ბიჭის მკლავებიდან და დიდი სისწრაფით მისცა საშუალება, გაქცეულიყო. ნინი გაუჩერებლად და დაუღალავად მირბოდა, მირბოდა და უკან არ იხედებოდა, არ გაჩერდა, სანამ პატარა პარკს არ მიაღწია და ხეებში უცებ დაიკარგა. ვერავინ ხედავდა. ერთ ადგილას გაჩერდა და რამოდენიმე წუთით გაშეშდა. ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში, ათასნაირმა მოგონებამ მოიცვა მისი გონება, ათასი სახე დაუდგა თვალწინ, სანამ გაახსენდა, რომ იმ დღეს მისი ძმის შარვალი ეცვა და რალაც სიმძიმესაც გრძნობდა ჯიბეში. ნინიმ იქ ხელი ნელა ჩაიყო და პატარა გასაშლელი დანა ამოიღო, რომელიც მის ცრემლიან თვალებს ირეკლავდა და საკუთარ ტანჯვას აყურებინებდა. ნინი რამდენიმე წამით გაქვავდა, შემდეგ კი სანუკვარი ოცნება აისრულა.

დაკარგული ნინის კვალს ორ დღეში მიაგნეს ოჯახის მიერ დაღვრილი უამრავი ცრემლის შემდეგ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მისი გაცივებული სხეული ხეებს შორის ეგდო უსიცოცხლოდ, ბალახი სისხლით იყო დასვრილი, ნინის მუცელზე კი დიდი ასოებით იყო დანით ამოტვიფრული: „მე გოგო ვარ.“

Mega Mind
მე - ადამიანი

იმდენი პრობლემაა გარშემო, არც კი ვიცი, რომლით დავინყო, ჯერ პირად პრობლემებს მოვყვები. შეიძლება, უცნაურად ჟღერს, მაგრამ არ ვიცი, ვინ ვარ, უბრალოდ ვიცი, რომ არ ვარ უმრავლესობის წევრი, შეიძლება ასე ითქვას. თუმცა, ვიცი, როგორი ვარ, შემიძლია, გავუგო ნებისმიერ ადამიანს, მაგრამ ხანდახან მეც არ მესმის თქვენი, არ მესმის, რატომ ითხოვთ იმას სხვისგან, რაც თქვენ თვითონ არ გაგაჩნიათ? უფრო დავკონკრეტდები: რელიგია, რის გამოც „გძულვართ“. თქვენი რელიგია მოგინოდებთ სიყვარულის და პატივისცემისკენ, თქვენი რელიგიის თანახმად ღმერთმა შექმნა ადამიანი და მისცა მას არჩევანის საშუალება; ადამიანზეა დამოკიდებული, ის ცუდ გზას აირჩევს თუ კარს, ღმერთმა ამის უფლება მისცა და თქვენ ვინ ხართ, რომ ამ უფლებას ართმევთ ადამიანებს?! ადამიანებს, რომლებსაც არ იცნობთ, ადამიანებს, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ თქვენთვის და უბრალოდ ცდილობენ, რომ საკუთარი თავი დაიცვან, ცდილობენ, რომ იცხოვრონ! თქვენ, თქვენ თვითონ არ სცემთ პატივს თქვენს რელიგიას და რატომ ითხოვთ ამას სხვისგან?! მიმიფურთხებია ყველა ისეთი ქრისტიანისთვის, რომელიც ძალადობს! შეურაცხყოფს და განიკითხავს სხვას! ოდესმე არ გიფიქრიათ იაზე, რომ იქნებ არ უნდათ ამ ადამიანებს ისეთები იყვნენ, როგორებიც არიან? შეიცვალონ? სათქმელად ადვილია... შეიცვალე! შენ შეგიძლია,





შეიცვალა? არა, არ შეგიძლია. ჩვენ როგორებიც არ უნდა ვიყოთ, ადამიანები ვართ! მინდა, ჩემი სურვილები და ოცნებები გაგანდოთ ... მინდა, ქუჩაში გასვლისას ყველას სახეზე ღიმილს ვხედავდე, მინდა ვუყურებდე, როგორ აფრქვევენ ადამიანები სიყვარულსა და სიბოს ერთმანეთის მიმართ, მინდა, რომ ერთი ადამიანი მეორე ადამიანს ადამიანური თვისებებით აფასებდეს და არა ორიენტაციით, რელიგიით და თუნდაც, კანის ფერით; მინდა, ყოველი გამვლელი ადამიანის თვალებში სიკეთეს ვხედავდე, ყველაფერი სიყვარულმა მოიცვას, რადგან ვფიქრობ, რომ სიყვარული ერთადერთია, რასაც შეუძლია ბოროტება დაძლიოს, სიყვარული გვაახლოვებს და გვიბიძგებს იმისკენ, რომ ვიყოთ კარგი ადამიანები! პირველ რიგში ადამიანები და მერე სხვა დანარჩენი. მე, საქართველოში მცხოვრებ 19 წლის მოზარდს, იქამდე მექნება იმედი, სანამ პირში სული მიდგას, რომ სიყვარული და ადამიანობა დაძლევს იმ ბოტორებასა და ბოლმას, რაც ადამიანებშია. მინდა, რომ პატიება შეგეძლოთ და ცუდისთვის სამგიეროს გადახდა არ გინდოდეთ, რადგან ამის მერე თქვენც ისეთები გახდებით, როგორებიც ისინი არიან, ვინც თუნდაც, რამე ცუდი გაგიკეთეს. შეიძლება, ჩემი ნაწერი ზღაპარივითაა, მაგრამ მე მაინც მჯერა! მჯერა, რომ ყველა ადამიანში არის რაღაც ადამიანური! არის სიკეთე და, რა თქმა უნდა, სიყვარული!

DANI SOUTH

მე მქვია სახელი... უბრალო, ადამიანური სახელი, რომელიც დაბადებისთანავე მომენიჭა. მქვია სახელი, რომელიც ყველა ჩვეულებრივ ადამიანს ჰქვია, რომლითაც ზოგი მიცნობს და ზოგიც - არა, იმიტომ, რომ ეს ჩემი არჩევანია, მინდოდეს თუ არა, მერქვას ესა თუ ის სახელი. მე მაქვს ასაკი, ჩვეულებრივი ასაკი, რომელიც ჩემთვის არა უბრალოდ ჩემი დაბერების მათემატიკური ერთეულია, არამედ ჩემი განვლილი და, ალბათ, გასავლელი გზის მანძილია...

მე ვარ ადამიანი, ისეთივე, როგორც ხარ შენ, შენც და კიდევ 8 მილიარდი „შენ“ გარშემო. მე მაქვს გენდერი, ჩვეულებრივი გენდერი, ბიოლოგიური, როგორც ექიმები ამბობენ და მინდა, გაგიხსნა საიდუმლო: მე მაქვს მეორე გენდერიც. თუმცა, სიმართლე გითხრა, მე არც ერთს და არც მეორეს არ ვაღიარებ ჩემად, უფრო მეტიც, მე მათ ვერ ვეგუები ჩემში და, სამწუხაროდ, ვატარებ ამ აუღიარებელ სქესს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. ალბათ, გაგიკვირდება და მკითხავ, გენდერი რა არის და რისთვისაა საჭირო? გეტყვი: ჩვეულებრივ ცივილიზებულ საზოგადოებაში, გენდერი ადამიანის სქესის მინიშნებაა, ოღონდ როდესაც ადამიანი იზრდება (ზოგჯერ ბავშვობაშიც) ის თვითონ აკეთებს არჩევანს, რომელ გენდერს მიაკუთვნოს თავი. მაგრამ მოდი, ახლა გავიხსენოთ, სად ვცხოვრობთ? და შენ, მეგობარო, რომელიც ეხლა ამას კითხულობ, რა ენაზე კითხუ-

ლობ? ქართულია ხომ? შესაბამისად, საქართველოში ვართ... იქ, სადაც სიტყვა „გენდერის“ ნაცვლად გვესმის ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „ქალბიჭა“, „ნაზიკო“, „ქაჯი“, „გოგოშკა“ და სადაც ამ უხამსი შეუაცხყოფით განისაზღვრება, თუ ვინ ხარ შენ. მახსოვს ერთი ეპიზოდი ბავშვო-



ბიდან: სკოლაში ძალიან ვაქტიურობდი და კარგადაც ვსწავლობდი; თუმცა, ძალიან მოუსვენარი და ცელქიც ვიყავი. კლასში 23 ბიჭი და სულ 11 გოგო - აი, ასეთი უაზრო დისბალანსი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, სულ არაბული ჯიშის ცხენებივით გადაგვარჩინეს და მოგვათავსეს ერთ კლასში. მოკლედ, ამ ჩემი ცელქობის გამო ხშირად ვხდებოდი მასწავ-

ლებლის ნერვული სისტემის ამ-
ლილობის მიზეზი და ერთხელაც
მან ჩემს მშობლებს განუცხადა:
„მეგონა, კლასში 23 ბიჭი მყავა-
და და თურმე 24 ყოფილა“. აი,
ასეთ ვითარებაში დღიდან დღემ-
დე ვიზრდებოდი და 33 კაცის და-
ცინვისა და დამცირების მსხვერ-
პლი გავხდი. იყო თუ არა ეს



საწყენი? მე ეს მტკიოდა ყოველ
დღე! 11 წლის მანძილზე! მერე
გავიზარდე და დავფიქრდი ბევრ
რალაცაზე, მივხვდი, რომ უნდა
ვიყო ისეთი, როგორიც ვარ, არ
შევეგუო და მთელი ჩემი ცნობი-
ერი თუ არაცნობიერი არსით უნ-
და შევებრძოლო საზოგადოების
მახინჯ დოგმებს. თუმცა, ესეც
ძალიან რთულია, რადგან მე ცო-
ტა ვარ მსოფლიოს მასშტაბები-

თაც კი და სხვა საზოგადოება
ბევრად დიდია და მძლავრი. ეს
ჩემი ცხოვრების მხოლოდ ერთ-
ერთი პუნქტია; არსებობს კიდევ
უამრავი რამ, რაზეც საუბარი
ძალიან მინდა, ჩემო მეგობარო.

სამსახური დღეს დღეობით
ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი
ასპექტია ჩვენი არსებობის. მი-
დინარ, მაგალითად, გასაუბრე-
ბაზე, პირველი, რაც ყველაზე
მეტად გხვდება თვალში - შენი
პოტენციური უფროსის გამო-
ხედვა და უსაზიზღრესი კითხ-
ვა: „კოსმეტიკას ხმარობ?“ იცი,
რა მინდა ვუპასუხო? მამამენი
ხმარობდა დედაშენს, შენ რომ
გაკეთებდა! მაგრამ ვჩემდები
და მართლაც არსებულ აღერ-
გის ვანერ ჩემს „ჩაუდღაბნავ
და უმტუკატურკო“ სახეს, და
მიჩნდება სურვილი, ვუპასუ-
ხო ამ ჭკუის კოლოფებს, რომ
სახის ნაოჭი კი არა, ტვინის ნა-
ოჭია მთავარი და ეს მუდმი-
ვი „დაგვიკავშირდებით...“ ეს არ
არის მხოლოდ ჩემი პრობლემა,
მაგრამ თუ სხვას იწუნებენ, მა-
გალითად, „ვორდის“ არასაკმა-
რის დონეზე ცოდნის გამო, მე
მიწუნებენ ქვედაბოლოებისა და
კოსმეტიკის არგამოყენების გა-
მო. და რატომ? შენ მითხარი, მე-
გობარო, შენ ხომ ამ საზოგადო-
ების „ჩვეულებრივი“ წევრი ხარ?
შენ ხომ არ გაქვს ლიმიტი ქცევა-
სა და საუბარში? შენ ხომ არავინ
გიყვირის ქუჩაში, გაეთრიე სა-
ქართველოდანო? აი, მე კი მიყ-
ვირიან, მემუქრებიან, მდევნიან,
მჩაგრავენ, მსპობენ და მკლავენ
ან თავს მაკვლევინებენ ყოველ
დღე! ათასჯერ, მსოფლიოს ყვე-

ლა ქვეყანაში! უამრავ დამამცი-
რებელ წნეხში მატარებენ, რომ
მხოლოდ ერთი სიტყვა შეიცვა-
ლოს ჩემს ცხოვრებაში - „სქესი“.
დღეს ჩემმა შეყვარებულმა
მითხრა, ერთი სული მაქვს, შენ-
თან ერთად მშვიდად გავიარო
ქუჩაშიო... იცი ეს რას ნიშნავს?
მე დროს ვიგებ, სანამ შენ და
შენნაირები ეკლესიის კედლებს
ურახუნებთ ცარიელ თავებს და
ლოცვაში გახსენდებათ ურთი-
ერთსიყვარული და პატივისცე-
მა; მე სწორედ ამ დროს მშვიდად
დავდივარ ქუჩაში და არ მეშინია!
მე ტრანსგენდერი ვარ! მე აგენ-
დერი ვარ! მე ადამიანი ვარ და
სიყვარულის ნიჭი გამაჩნია... და
სხვა ადამიანებისადმი სიძულ-
ვილს ღმერთის სიყვარულად არ
ვმოსავ! მე ის ვარ, ვინც შენ, ჩე-
მო უხილავო მეგობარო, ათას-
ჯერ უკვე აცვი ჯვარს, ის ვარ,
ვინც შენ განსხვავებული აზრი-
სა თუ ფიქრის გამო მილიონჯერ
გაანადგურე და ვისაც ბოლო
მოუღე, ის, ვინც შენ გამო თავის
ინდივიდუალობას ნიღბის ტარე-
ბაში სპობს მარტო იმიტომ, რომ
მოგეწონოს და არ განსაჯო და
არ დასაჯო; მე არ მაქვს არჩევა-
ნი, ვიყო ეს თუ ის, ზუსტად ისე,
როგორც შენ არ გაქვს არჩევანი,
იყო ქალი თუ კაცი; უბრალოდ,
მე ჩემს ყოფას ღირსეულად ვა-
ტარებ და ყველაფერი ზემოთ
დანერილის მიუხედავად, არ ვარ
გაბოროტებული! უბრალოდ, და-
ვიღალე იმ ჰაერით, რომელსაც
შენ შენი უხამსობით, უვიცობით
და გაუნათლებლობით და საკმე-
ველის სუნით აფუჭებ! მადლობა,
რომ დღესაც ცოცხალი ვარ.

ფატიმა
რომანოვა

მე მაჰპატიე,
ჩემო
სიყვარულო

„ცუდი ამბები მაქვს, ბაჭი...

რა მოხდა? მოიცა, ეხლავე ჩამოვალ და გამოვალ ქუჩაში... ხო?


- აივ დადებითი მაქვს. რა უნდა ვქნათ...

- ბლიად!.. უკვე აღარაფერი. უკვე ველარაფერს გავაკეთებთ...“

როგორ შემიყვარდა

ზუსტი თარიღი აღარ მახსოვს. არც ის, თუ ვინ ვის მისწერა გაცნობის მიზნით წერილი პირველმა. მახსოვს, რომ დიდი ხანი ვერ ვიღებდი გადაწყვეტილებას - ვესტუმრო თუ არა. საბოლოოდ დაფრჩი სახლში. მეორე დღეს კი მივიღე საყვედური: „ისე, რომ იცოდე, ზრდილობიანი ადამიანები ასე არ იქცევიან, ეს უზრდელობაა!“ ზუსტად ამ სიტყვებმა გააღვიძეს ჩემში სირცხვილი. მე გადავწყვიტე, გამოემსწორებინა შეცდომა. დიდი ხანს მივფაშფაშებდი მისი სახლისკენ სიცივეში, ძლიერი ქარი ქროდა და მე მოვასწარი გამეფიქრებინა, რომ, იქნებ, დავიკიდო ეგ ყველაფერი? დღეს რომ შინ დავბრუნებულიყავი, ყველაფერი, შესაძლებელია, სულ სხვანაირ ფინალამდე მოსულიყო. კარი გამიღო იკამ და მე მივხვდი, რომ ეს ის მომენტია, როცა მთავრდება რაღაც ძველი და იწყება ახალი. რა თქმა უნდა, თავიდან ავიფარე სერიოზული დასაოჯახებელი „კაცის“ ნილაბი, მაგრამ ძალიან მალე ამ ნილაბის არანაირი საჭიროება აღარ იყო, იმიტომ რომ ყველაფერი აშკარა გახდა. არა, პირველ დღესვე სექსი არ გვექონდა, მეორე დღესაც არა, არც მესამე დღეს. ესე იყო საჭირო, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეებში ვიცოდი, რომ ეს კარგის ნიშანია. მითხრა: „არ მინდა, ყველაფერი გავაფუჭო სექსით პირველივე პაემანზე. მინდა გაგიცნო უკეთესად. სექსის გარეშე მე ეს უფრო კარგად გამომივა, სექსი კი არსადაც არ გაქრება და არ გაიქცევა.“

შემდეგ კი ჩვენ ვკოცნაობდით. ტუჩები გვექონდა შეშუპებული. მე ვღრმავდებოდი მასში უფრო და უფრო, მის გვერდით ჭუა მეკეტებოდა. ჩვენ ვსვამდით არაყს და ვაშლის წვენს. ვენეოდით პირდაპირ ოთახში. მისი თვალები... მისი თვალები იყო ყველაზე ლამაზი, რაც კი სადმე მინახავს. ნათელი. ღია. მოცისფრო-მომწვანო. გამჭვირვალე. მე ვიძირებოდი ამ თვალებში. ვხედავდი ამ თვალებში პასუხს, რომელმაც დაქოქა ჩემში პასუხის ნიშნად რაღაც რეაქცია. ეს რეაქცია ჩავიდა სულის სიღრმეებში და გაიტაცა ჩემი გული, მკერდის არეში რომელიც იმალებოდა და კანკალებდა პატარა შეშენიბული ბელურასავით.



როგორც მერე გაირკვა, ჩვენ გვიყვარდა ერთი და იგივე მუსიკა. მსგავსი იუმორის გრძნობაც გვქონია, გვიყვარდა ერთი და იგივე ფილმები. მას უხაროდა, როგორც ბავშვს, როცა მე ვამბობდი, რომელი მუსიკალური ჯგუფები მომწონს! მეც აღფრთოვანებული ვიყავი ამისგან. პირველი სიყვარული. ნამდვილი. ძლიერი!

გაცნობის მერე, რამდენიმე კვირაში ერთად ცხოვრებაც დავიწყეთ. მე უბრალოდ ჩავალაგე ჩანთა და ნამოვედი სახლიდან. მშობლები შოკში იყვნენ. მერე ნელ-ნელა გადავზიდე ყველა ჩემი ნივთი. პირველი საღამო ახალ სახლში. საყვარელ ადამიანთან. უკვე ეს მაგდებდა სიმთვრალეში, ალკოჰოლის გარეშე. მე ვენეოდი ზედიზედ, ოთახში დავდიოდი კატასავით, შევისწავლე ყოველი კუთხე. ახლა ეს ბინა ჩემიცაა. როცა ვრეცხავდი ჭურჭელს, იკას ისე ღიად უკვირდა, მითხრა, რომ არავის ჯერ არ გაურეცხავს მისთვის ჭურჭელი. მერე გაჩუმდა და თქვა: „არა, „მე“ არა, „ჩვენ“. ამ სიტყვებისგან კეფამდე გაიბრინა მდულარე ტალღამ. ეს ყველაფერი იყო ჩემთვის ახალი იმ დროისთვის. ყველა ეს სიტყვა. ემოციები. გრძნობები. ყველაფერი იყო არაჩვეულებრივი. სურვილებისა და ოცნებების ახდენის დრო, რის შესახებაც ადრე არ ვიცოდი.

ჩვენ ვცხოვრობდით ერთად. სხვათაშორის, სექსი გვქონდა არაჩვეულებრივი. როცა პირველად გვქონდა სექსი, იკა იყო აღფრთოვანებული! უხაროდა ის, რომ ყველაფერი იყო გადასარევი! იკა იყო ჩემთვის შექმნილი, ასე მეგონა. ყველა პარამეტრით: საუკეთესო სიმაღლე, ბრწყინვალე ტექნიკა, მისი სუნი და სიყვარული გულში.

არ მახსოვს, ეს როდის მოხდა. რომელ მომენტში მოვიციე ჩემში ძალა, რომ მელიარებინა და მეთქვა: „მე შენ მიყვარხარ“.


თუმცა არა. ასე არა. ძალა არ იყო საჭირო. მხოლოდ ცოტა. ვინ გააკეთა პირველი ნაბიჯი, მაინც და მაინც... მგონი მან. მაგრამ ამის თქმა არ იყო ძნელი. ეს ხომ სიმართლე იყო. იკა თითქმის მალმერთებდა. მე ვუმზადებდი საჭმელს, იმიტომ რომ სამსახურიდან მასზე ადრე ვბრუნდებოდი. ყოველთვის შემოსასვლელში ვხვდებოდი, კარს ვუღებდი. ვკოცნიდი ტუჩებში შეხვედრისას. ერთად ვმგზავრობდით სახლისკენ, როცა ამის შესაძლებლობა გვქონდა. ხდებოდა ხანდახან, რომ მასთან სამსახურში მივდიოდი, ჩემი სამუშაოს მერე, იმისთვის, რომ უფრო მეტი დრო გაგვეტარებინა ერთად და არა მხოლოდ სახლში. ზაფხულში ვხვდებოდი მეტროსთან, თუკი ის მუშაობდა დასვენების დღეებში. ერთხელ კიდევ ვიყიდეთ პატარა მაგიდა და ერთად ვათრი-

ეთ სახლამდე თოვლსა და ტალახში. ეს იყო უმშვენიერესი! მე თვითონ ვცვლიდი სანტექნიკას. მოვახერხე ტუალეტის შეკეთება. მტვერსასარუტის გამოყენება, დალაგება. საჭმელს ვამზადებდი, ვრეცხავდი. ყველაფერი გვქონდა საერთო, ტანსაცმელი, კოსმეტიკა, სუნამო. როცა ვიცვადი მის ტანსაცმელს, შინაგანად მაჯანჯლარებდა, როცა ვისხამდი მის სუნამოს, სიხარულისგან ვიხრჩობოდი. ეს იყო ფანტასტიკა, და ეს იყო ჩემი ფანტასტიკა.

ეტაპობრივად ერთად ცხოვრება გადავიდა ჩვევაში. სამსახური, სახლი, სექსი, სიგარეტი. ჩვენ დავდიოდით თეატრებში! მაგრამ არასდროს ვყოფილვართ კინოში. არც კი ვიცი, რატომ. მაგრამ მაშინ მე ეს არ მადარდებდა. მან გამაცნო მეგობრები და ისინი შემხვდნენ ლამის აპოლოდისმენტებით. გავაცანი იკა ჩემს საუკეთესო მეგობრებს. იგი ყველას მოენონა. სხვანაირად ვერც კი იქნებოდა! იკა იყო ჭკვიანი, სიმპატიური, მხიარული და ქერა, ჩემი ბიჭი. მეც ვიყავი მისი „ბიჭი“ და მე ეს მახარებდა. გავიცანი მისი დეი, დედა, მეც ყველას მოვწონდი!

და გავიცანი მისი ლტოლვა ალკოჰოლისკენ

პირველი ნახევარი წელი არ შემიმჩნევია, მხოლოდ იშვიათად. შემდეგ კი ეს ცუდი ჩვევა გახდა აშკარა. როცა ჩვენ მივდიოდით თეატრში, იკა დაღევდა ალკოჰოლურ სასმელს სპექტაკლამდე და ამატებდა გრადუსს ხუთ წუთიან შესვენებაზე. რამდენჯერ მიმითრევია სახლში მეგობრებისგან, როცა ის იყო ნახევრად გათიშული ან საერთოდ უგონო. იმ ფულით, რაც დავხარჯე ტაქსიში, შესაძლებელი იყო, მეყიდა იაფი მანქანა ან მოტოციკლეტი. როცა იკა იყო არაფხიზელ მდგომარეობაში, ის ან გადაჭარბებულად მხიარული იყო და მოთენთილი, ან გადაჭარბებულად აგრესიული. მაგრამ მე ის ძლიერ მიყვარდა ნებისმიერ მდგომარეობაში. ის უფარგისად იქცეოდა სტუმრად, როცა დაღევდა. შემდეგ მან დაიწყო სმა სახლში, ყველანაირი საფუძლის გარეშე. ხშირად, როცა მე ვბრუნდებოდი სამსახურიდან, მის დასვენების დღეს, იკა მხვდებოდი უკვე ნასვამი, მხიარული. „ბაჭიი, მე შენ მიყვარხარ,“ - და ეს თვალები. ჩვენ გვქონდა სექსი, ის - მთვრალი, მე - ახალგაზრდა შეყვარებული, დებილი.



იკა იძინებდა მოკიდებული სიგარეტით. დროულად ვუს-
ნრებდი, მაგრამ ერთი ბალიში მაინც დაგვაკლდა. მან გა-
უფუჭა ქვედა მეზობლებს ჭერი. იმიტომ, რომ ავსებდა
აბაზანას და არ ჩაუკეტავს ონკანი. მას შეეძლო გაეხადა
ტანსაცმელი თავის დაბადების დღეზე და ევლო შიშვლად
სხვა სტუმრების წინ - მას ეს ახალისებდა. მე კი მრცხვენო-
და და მეშინოდა. ერთხელ იკა გამომეკიდა დანით. მაშინ
პირველად დავარტყი. ძლიერად დავარტყი. პირველად და
უკანასკნელად. მერე ის ტიროდა ჩემს მუხლებზე. მე ვეფე-
რებოდი თავზე და მეც ვტიროდი. ერთხელ დავიჭირე ჩემი
თავი მთვრალი, როდესაც ვამთავრებდი მესამე ქილა ლუ-
დის დაღევას. მე ეს მომეწონა. დავიწყე ლუდის ყიდვა სამ-
სახურის მერე უკვე ორივესთვის და ვთვრებოდი უკვე
ერთად. ჩემი დეგრადირება ხდებოდა „MUSE“-ის აკომპა-
ნიმენტით ... ეს იყო ჩვენი მუსიკა, ჩვენი სიმღერები. ჩვენ-
თან გახშირდა სტუმრების მოსვლა. ისინი ილენებოდნენ
ლორებივით. მათი წასვლის მერე მიწევდა სახლის დალაგე-
ბა ბოთლებისა და სიგარეტის ბიჩოკებისგან. მე მიწვოდა
სახლში დაბრუნება და არავის დანახვა, მაგრამ ვჩუმდე-
ბოდი და ვითმენდი. უბრალოდ ვთხოვდი, რომ გავეფრ-
თხილებინე, თუკი ვინმე აპირებდა ჩვენთან მოსვლას. არ
მიყვარს სიურპრიზები, მაგრამ იძულებული ვიყავი, შემეყ-
ვარებინა ისინი. ისე, როგორც მე მიყვარდა იკა, მიყვარდა
ყველაფერი, რაც კი მასთან იყო დაკავშირებული. თანდა-
თან მეჩვენებოდა, რომ ის რალანცაირად იჭერდა ჩემგან
დისტანციას. ჩემმა ბრიყვმა გულმა იგრძნო რალაც, მაგ-
რამ მაშინ არ ვუშვებდი თავში ცუდ ფიქრებს. მაგრამ ისინი
არ მაძლევდნენ სიმშვიდის საშუალებას, პირიქით, ზრდიდ-
ნენ ჩემში ეჭვებს.

შვებულეაში უჩემოდ

ზაფხულში მან აიღო შვებულება, მაგრამ ჩემი სამსა-
ხურის გამო მე ვერ გავემგზავრე მასთან ერთად. ის გაფ-
რინდა ტაილანდში მის მეგობართან ერთად. მე ძალიან
ვნერვიულობდი და განვიცდიდი. ეჭვიანობა მიგრევედა
სიმშვიდეს, უფრო და უფრო ტოვებდა ნახვრეტებს ჩემს
ბრძენ გონებაში. ამასობაში იკას თითქმის არ დაურეკავს
და არც მოუწერია ჩემთვის - ძვირიაო. ადგილს ვერ ვპოუ-
ლობდი და საბოლოოდ გავბედე. შევძვერი მის ელექტრო-
ნულ ფოსტაში, სკაიპში და საერთოდ ყველგან, სადაც ვი-
ცოდი პაროლი. ალბათ ასე იქცევა ადამიანი, ვინც ძლიერად
შეყვარებულია. არ მინდა, ავლწერო ჩემი მდგომარეობა იმ

მომენტში, მაგრამ დედამინა თითქოს დაიგნრა ჩემთვის მაშინ. არა, არ ვტიროდი, არა - მე იშვიათად ვტირი. მაგრამ ვსვამდი, ვსვამდი ყოველ საღამოს. მეგონა, ფილტვები გამიხმებოდა იმდენი სიგარეტისგან. ველოდებოდი, ვემზადებოდი, მაკანკალებდა, მე მეშინოდა. სიმართლის მეშინოდა, რეაქციის მეშინოდა. არ მინდოდა, დავრჩენილიყავი წაგებული. დაკარგვის მეშინოდა, ველოდებოდი მის ჩამოსვლას.

და ეს დღეს დადგა. მან მომწერა SMS შეტყობინება აეროპორტიდან: „ჩვენ ჩამოვედით! მოვდივარ სახლში“. კიდევ მომწერა მეტროდან: „ამოვდივარ ესკალატორით“. მზურძგლავდა, მაკანკალებდა. არ ვიცოდი, როგორ მოექცეულიყავი. ჩემში ხდებოდა სხვადასხვა გრძნობების ბრძოლა. და ის ნანატრი ზარი. ვალებ კარს. დგას. იღიმის. ბრწყინავს. გარუჯული. ხელი თაბაშირში. აი, როგორ ავხსნა ჩემი მაშინდელი გრძნობები. იკა მომიახლოვდა, მაკოცა, მაგრად ჩამეხუტა, ჩამხედა თვალებში და ... ყველაფერმა გადამიარა. „ისე მომენატრე!“ მე ვდნებოდი, იქვე, შემოსასვლელ ოთახში. მე ის ძალიან მენატრებოდა. აღარ მაინტერესებდა აღარაფერი. ყველაფერი წამში გაქრა. ის ყველაფერი, რაც მქონდა მისთვის სათქმელი, ნეგატიური, გაქრა მას შემდეგ, რაც ჩავეხუტე, როცა დავადე თავი მას მკერდზე და ვიგრძენი მისი სუნი, ისეთი ახლო და საყვარელი. მე დამიბრუნდა ჩემი კაცი.

- რა გჭირს ხელზე?

- კიბებზე ამიცდა ფეხი და ნაქცევისას ავიგლიჯე ხელი!

- ხო მარა, თაბაშირი? რისთვის, თუკი ავიგლიჯე?

- არ ვიცი, დამიმუშავეს და დამადეს...

- ეს რა ჯანდაბაა... დიდი ხანია?

- სამი დღეა.

ჩვენ მივდივართ ახლომდებარე ტრავმატოლოგიურ პუნქტში. სულელი, სულელი, ჩემი პანია, საერთოდ არ უფიქრია იმაზე, რომ ნატკენს სჭირდება ყოველდღიური დამუშავება, ბინტების გამოცვლა, მაგრამ არა - თაბაშირი! რანაირი ექიმებია ამ ტაილანდში? რა თქმა უნდა, ის ადგილი დაუჩირქდა. როცა ქირურგმა მოუხსნა თაბაშირი და მიაჭირა ნატკენს, იქიდან წამოვიდა ჩირქის ზღვა. როცა ქირურგმა მიაჭირა ნატკენს კიდევ ერთხელ, იმისთვის, რომ ჩირქი ბოლომდე გამოსულიყო, ჩემმა კაცმა დაკარგა გონება. წარმომიდგენია, რა მტკივნეულია. საბოლოოდ ყველაფერი დამთავრდა კარგად იმ მომენტისთვის. ხელი დაუმუშავეს და შეუხვიეს ბინტებით. გამოუწერეს ანტიბიოტიკები - მომიწია ნემსების კეთების სწავლა. ყოველ დღე





მე ვუკეთებდი ნემსებს. მივყვებოდი მას გადახვევებზე. მე მას ვჭყრდებოდი. სხვა ვინმე კი არა, მე! რა თქმა უნდა, მოგვიანებით მე დავუსვი მას ის კითხვები, რომლებიც გამიჩნდა მისი მიმოწერების წაკითხვისას, იმაზე, თუ რატომ მატყუებდა. იკამ დამარწმუნა საპირისპიროში. მან შეძლო და მე დავუჯერე. მაგრამ ვიცი, მე ვუყვარდი მას. ჩვენ ვიყავით ერთად უკვე წელიწად-ნახევარი, მაგრამ სექსი გვქონდა ყოველთვის, როგორც პირველჯერ.

ცუდი ამბავი

დრო გადიოდა, ნატკენი ხელზე არ ხორცდებოდა. ეს უკვე იყო უცნაური. იკა უფრო და უფრო გრძნობდა თავს ცუდად. დაეწყო ფეხების ტკივილები. არაფრით არ გამოდიოდა ჩემთან ერთად სასეირნოდ. არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ვაიძულე, ჩაებარებინა ანალიზები. ბიოქიმიური ანალიზის შედეგები იყო უვარგისზე უვარგისი. მას დაეწყო შიშები, დასუსტდა. შფოთვით ვუყურებდი მას. ცუდად მახსოვს ის პერიოდი. ერთადერთი მახსოვს ძალიან კარგად: სამსახურში ვარ, ზარი ტელეფონზე, - იკა.

- ბაჭი, ცუდი ამბები მაქვს, ბაჭი...

- რა მოხდა? მოიცა, ახლავე ჩამოვალ და გამოვალ ქუჩაში ... ჰო?

- აივ დადებითი მაქვს. რა უნდ ვქნათ ...

- ბლიად! ... უკვე აღარაფერი. უკვე ველარაფერს გავაკეთებთ... დავილაპარაკოთ სახლში რომ დავბრუნდები, კარგი?

- კარგი, ბაჭი.

არ შემიძლია ვთქვა, რომ მქონდა გიჟის რეაქცია. მე ვიყავი, როგორც იმ დროისთვის მეგონა, მშვიდ მდგომარეობაში. გრძნობები მქონდა უცნაური და ერთმანეთში არეული. ცოტა შიში, ცოტა გაოცება, შეცოდება, სიცარიელე. იმ საღამოს არ ვჩქარობდი სახლისკენ, როგორც ყოველთვის. რაღაც ფიქრები მიშლიდა, ფეხებს არ უნდოდა გადაადგილება. იკა იჯდა ჩვენს დივანზე. ტიროდა. გული მეგლიჯებოდა. ძლიერად ჩავეხუტე და ჩავუჩურჩულე ყურში: „როგორ შეიძლება, მომხდარიყო ეს?..“

მე ერთი წამითად არ მიფიქრია იმაზე, რომ ეს აივ ინფექცია საშიშია, გაუგებარია და მავნე, არ მეშინოდა. უბრალოდ ვიყავი მასთან ერთად.

მერე იყო საავადმყოფოები. თერაპიები. ტუბერკულოზის დისპანსერი. გაგიჟებული დედა. ვერ ვუყურებდი მას თვალებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბრალი საერთოდ

არაფერში არ იყო. ვცდილობდი, ხშირად მომენახულებინა იკა საავადმყოფოში, მიმქონდა მისთვის გემრიელობები. ძალიან უხაროდა იკას ყოველი ჩემი მისვლა. ზუსტად ეს მისი სიხარული იყო ჩემთვის აუტანელი ტანჯვა. და თითქოს ყველაფერი უკვე კარგ შედეგებს გვიჩვენებდა, მაგრამ სიხარულს დაენია უბედურება. მენინგიტი! უცებ ყველაფერი გახდა ძალიან ცუდად. ჩემი ცხოვრება იქცა ჯოჯოხეთად. ყოველდღე მივდიოდი იკასთან საავადმყოფოში, ვხედავდი ჩემს საყვარელ ადამიანს სრულიად არა ისეთად, როგორც იყო იმ დღეს, როცა ვნახე პირველად. ისეთი უბედური... ბრმა ვეღობოდა, ადამიანურ გარეგნობას კარგავდა და ერთ დღესაც საბოლოოდ დაბრმავდა. ტვინში ცვლილებები მოქმედებდნენ ფსიქიკაზე და ემოციებზე. შემდეგ კი ის მოხდა, რისიც ყველას გვეშინოდა: სისხლჩაქცევა ტვინში.

პერ შევქელი

არ ვიყავი მზად. ძალიან ადრეა. ასე არ უნდა მომხდარიყო. არასდროს არ დავფიქრებულვარ, რომ ასე შეიძლება მომხდარიყო. მე გავაქირავე ჩვენი ბინა, დროებით დავბრუნდი სახლში. შინაგანად ვხვდებოდი იმას, რომ, სავარაუდოდ, აღარ დავრუნდები. არასდროს. მე არ ვიყავი იკას გვერდით მისი ბოლო დღეები. ვერ შევძელი. ერთი კვირის შემდეგ მივიღე SMS შეტყობინება ლექსოსგან, იკას საუკეთესო მეგობრისგან: „იკა გარდაიცვალა“.

შეიძლება, სხვა რამეც ენერა. ცრემლები არ იყო, მაგრამ მე ველოდებოდი მათ.

ამაკანკალა, მახსოვს მხოლოდ ეს. ტვინი გამეთიშა. როგორ მივედი სახლამდე, მხოლოდ ღმერთს ეცოდინება. ჩვენს ბინაში წავედი, ის უკვე სრულიად ცარიელი იყო იმ დროისთვის. ვიყავი სრულიად მარტო, მარტო იმ უუბედურეს SMS-თან. ჩვენს ბინაში, რომელიც აღარ იყო ჩვენი, იმიტომ რომ „ჩვენ“ აღარ ვიყავით. ყველაფერი დამთავრდა.

დღემდე არ შემიძლია, ვაიძულოთ თავი, მოვინახულო. არ შემიძლია.

არ არის გამორიცხული, რომ ოდესღაც შევძლებ. ახლა კიდევ ვცხოვრობ იმ სამყაროში, რომელიც არ არსებობს, სამყარო, რომელშიც მე მოგკვდი გუშინ, მაგრამ დავიბადე დღეს. მე მაპატიე, ჩემო სიყვარულო. მე უბრალოდ სუსტი ადამიანი ვიყავი.

მემახსოვრები ყოველთვის.

მუდმივად.

გულის სიღრმემდე.

მე მინდა მშვიდი
ცხოვრება

„ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვის მხარესაა ძალა, ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვის მხარესაა უფლებები,“ - წერს ვიქტორ ჰიუგო. მართლაც, პირველი და მთავარი ადამიანისთვის არის მისი სიცოცხლის უფლება. ამასთანავე, არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ღირსეული სიცოცხლის უფლება. მეც, როგორც ნებისმიერ ადამიანს, მაქვს მშვიდი და ღირსეული სიცოცხლის უფლება, რომელსაც მრავალი წინააღმდეგობა აქვს წინ. სწორედ ამაზე ვიამბობთ.

მინდა რომ გამიგონ, ამიტომ, ალბათ, საჭიროა, ჩავიხედოთ სიტუაციის ძირში, ამ პრობლემის გულში, თავში, რომლის წარმოდგენა შეიძლება, იყოს არსებით სახელში. ეს არის ხე, რომლის ფესვები ღრმად არის გამჯდარი და ამ პრობლემის სახელია ჰომოფობია.

კავკასია - ეს არის ერთი დიდი ჰომოფობიის ტერიტორია. მაგრამ, რა თქმა უნდა, აქაც ცხოვრობენ ადამიანები, ვისაც ვუძახით „სექსუალურ უმცირესობებს“.

ეგეთი გახლავართ მე, თბილისში დაბადებული და გაზრდილი, ლგბტ საზოგადოების წარმომადგენელი.

დიახ, მე ვარ ტრანსგენდერი, ადამიანი, ვისი ბიოლოგიური სქესიც არ შეესაბამება სოციალურ სქესს. ჩემში არის ბრძოლა, რომელიც არ დამთავრდა დღემდე, რომლის შეჩერება მინდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს არ გამომდის. არ ვაპირებ ახლა, დაწვრილებით მოვეყვ იმაზე, თუ როგორია ჩემი ჰორმონული ბალანსი, როგორ გავდივარ ჰორმონოთერაპიას, არც იმაზე, თუ როგორ მძულს ჩემი სხეული, რომელშიც დავიბადე, არა. ეს მხოლოდ ჩემი ბრძოლაა. კი, ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამაზე გაჩერებას მე არ ვაპირებ და ვიცი, რომ ოდესღაც დადგება ის დღე, როცა ეს ომი მორჩება.

ბოლო ხანია, რაც ჩემი ცხოვრების რიტმი შეიცვალა, მე დავიწყე ცხოვრება უფრო ღიად და დავიწყე ურთიერთობების დაჭერა სხვა ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებთან. ჩვენი საუბრებში ხშირად მიდის ამ თემაზე, და მე მივედი ასეთ დასკვნამდე, რომ ბავშვის სექსუალური ორიენტაცია თანდაყოლილია მასში ქვეცნობიერის დონეზე, თითქმის მის დაბადების მომენტიდან. მარტივად რომ ვთქვათ, მე ეგეთი დავიბადე. ადრე მე ვფიქრობდი იმას, რომ მამაკაცების მიმართ ლტოლვა, დედაჩემის ლამაზი კაბების ჩაცმა, თოჯინებით თამაში და იმის სურვილი, რომ მომმართონ მღვდრობითი სქესით არ იყო ჩემი თანდაყოლილი თვისება, იმ დროს მე ვხვდებოდი გოგონებს. მე მიზიდავდა მათი ფორმები, გარეგნობა, ენერგეტიკა. მე ვიყავი ჩვეულებრივი ნატურალი მამაკაცი. აჰაჰაჰა... ახლა ამის გახსენების დროს მეცინება. ვიყავი არა! ვთამაშობდი ამ რთულ როლს. უარყოფდი რეალობას, მეშინოდა მისი





და სხვა მოქალაქეებისგან განსხვავების. ახლა ვხდები, რომ გოგოებთან რომანტიული ურთიერთობების დაჭერა სიყვარული კი არ იყო, არამედ ფემინური სოლიდარობა იყო, დაქალობა. მე ხო ისინი საერთოდ არ მიზიდავდნენ სექსუალურად.

არა, პირველი სექსუალური კავშირი არ მქონდა მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთან. პირველი სექსუალური გამოცდილება იყო სიახლოვე ორ მამაკაცთან. და ეს მოხდა, სამწუხაროდ, ჩემი ნების წინააღმდეგ. მე გამაუპატიურეს. რა თქმა უნდა, მე არ მივიღე არანაირი სიამოვნება იმისგან, რაც გაკეთდა ჩემთან. გარდა ამისა, მე ვიგრძენი აუტანელი ტკივილი, შიში, სიძულვილი და სიბრაღული ჩემ მიმართ. ჩემში არ მოხდა დრამატიული ცვლილებები, მე არ გავიღვიძე მეორე დღით იმ ცნობიერებით, რომ მე გეი ვარ ან, მით უმეტეს, ტრანსგენდერი. პირიქით, დიდი ხანი მდევნიდნენ საშინელი სურათები. მე ხომ 12 წლის ვიყავი.

წესით, მე უნდა შემძულებოდა არატრადიციული ორიენტაციის მამაკაცები იმის მერე, რაც გავხდი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ჩემი სექსუალობის ფორმირების ეტაპზე. ზოგადად, კი! მაგრამ ყოველთვის ჩემს მეხსიერებაში მე ვატრიალებდი იმ დროის სურათებს, ვისხენებდი ჩემს ემოციებს და გრძნობებს. დროთა განმავლობაში გამიჩნდა ინტერესი: რა მოხდება, თუ კიდევ ერთხელ მექნება მსგავსი გამოცდილება, როგორია ეს – გქონდეს ინტიმური ურთიერთობა მამაკაცთან ძალადობის გარეშე? ალბათ, ამ ინციდენტმა გააღვიძა ჩემში შინაგანი არსი, ის, რასაც ეძინა ჩემში დაბადების მომენტიდან.

ეხლა კი „ცოტას“ ვისაუბრებ ქართულ მენტალიტეტზე; იმაზე, თუ როგორია, ჩემი აზრით, ლგბტ საქმეები და მდგომარეობა საქართველოში.

სისხლით მე არა ვარ ქართველი, კავკასიელიც - ნახევრად. თუმცა, კარგად ვფლობ ქართულ ენას და ჩემი სამშობლო – საქართველოა. რა არის ქართული მენტალიტეტი, მე ვიცი შესანიშნავად. თუ ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორია დამოკიდებულება ლგბტ საზოგადოების მიმართ ჩვენს პატრიაქლურ საზოგადოებაში, ის არის საკმაოდ უარყოფითი, ვიდრე დადებითი, ან თუნდაც ნეიტრალური. მაქვს მაგალითები, რასთან შევადარო, რადგან მივიღე უმაღლესი განათლება რუსეთში, ვყოფილვარ სომხეთში, ბელორუსიაში, უკრაინასა და თურქეთში. ბევრს ვსაუბრობდი ადამიანებთან, ვაკეთებდი შედარებასა და ანალიზს. დასკვნა ისაა, რომ რაც უფრო ახლოს ხარ ევროპისკენ, ხალხი მით უფრო ტოლერანტულია. საქართველო კი სავსეა ჰომოფობებით. თუ კი შევადარებ ჩემს სიტუაციას რუსეთში, სადაც მე ვსწავლობდი, და საქარ-

თველოში, რუსეთში უფრო მარტივია. იქ მე ოთხი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, სადაც ყველა ჩემ გარდა იყო ნატურალი. სახლისგან შორს ცხოვრების პერიოდში, მე საჯაროდ არ ვსაუბრობდი იმაზე, თუ ვისთან მირჩევნია ერთ საწოლში ჩანოლა და არც არავინ მეკითხებოდა ამის შესახებ. ჩემი პირადი ცხოვრება მეტ-ნაკლებად იყო დაცული. რაც შეეხება ჩემს გარეგნობას, მე შემეძლო, გამეკეთებინა ის, რაც კი გაუხარდებოდა ჩემს გულს და მდიდარ ფანტაზიას. მე რამდჯერმე ვიცვლიდი თმის ფერს - შავი, თეთრი, წითელი; ვიკეთებდი ავანგარდულ ვარცხნილობებს, ვიცვამდი იმას, რაც მინდოდა, ჩემს სხეულზე იყო 12 პირსინგი! საქართველოში ამის გაკეთება მე არ შემეძლია - სულ სხვა მენტალიტეტი. კავკასია არის შეზღუდვა, თავშეკავება, საკუთარ თავში სურვილების ჩაკეტვა, ჰო და, საქართველო – არ არის ევროპა.

თვით ლგბტ საზოგადოებაშიც, 50%-ში არის რთული მშვიდად ცხოვრება, რადგან პრევალირებს ინტერნალიზებული ჰომოფობია. არანაირი სოლიდარობა და გვერდში დგომა ამ 50%-სგან მოსალოდნელი არც არის. უფრო ალბათ იმიტომ, რომ მათ ემინიათ საკუთარ ორიენტაციაზე დაკვირვების და განხილვის. ამ ლატენტურ ჰომოსექსუალებში აჭარბებს სექსუალური შეფიქრიანებულობის ფაქტორი. პორნოგრაფიული ფილმების ყურების მერე ისინი ეძებენ პარტნიორს ერთჯერად სექსისთვის. რაც ყველაზე საინტერესოა, საქართველოში ამ სახის ურთიერთობები ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე - რუსეთში! იმის მიუხედავად, რომ საქართველო რუსეთზე ბევრად პატარაა. იქ მამაკაცები ეძებენ რეგულარულ პარტნიორებს, აქ – ბიჭს ერთი ღამისთვის. ჩნდება კითხვა, რატომ არის ეგეთი სიტუაცია საქართველოში? საქმე ისევ ყბადაღებულ მენტალიტეტშია. აქაურ „გეი“ საზოგადოებაში არიან უამრავი გადახრილები: მათ რალაც სადღაც დაინახეს ან რალაცაზე სმენიათ და მერე უნდათ ამის განსხეულება რეალობაში. ბევრი ცდილობს, დაიკმაყოფილოს თავისი ცხოველური ვნება, სხვები ეძებენ სარგებლობას – კერძოდ, ფინანსურს. აქაურობა სავსეა ნამდვილი მეძავებით.

ვნერ ამ ისტორიას და.... ეჰ... ღრმად ამოვისუნთქე... არ შემეძლია, რომ არ დავუბრუნდე იმ თემას, თუ როგორი დამცირებელია ლგბტ ადამიანების უფლებები საქართველოში. დიახ, შეიძლება, მთავრობა იძახის, რომ კანონებით ჩვენ არ ვართ არაფერში შეზღუდულები, მაგრამ რეალობა ეგეთი არ არის.

დავბრუნდეთ წარსულში, კერძოდ, მინდა დავბრუნდე 2013 წელში. 17 მაისს ჩვენი ორგანიზაციები, რომლებიც იცავენ





განხვავებული იდენტობის ადამიანების უფლებებს, და არა მარტო მათსას სხვათაშორის, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასოცირებულ წევრებთან და უბრალო მაცხოვრებლებთან ერთად, ვინც სოლიდარობას გვიცხადებენ ამ დღესთან დაკავშირებით, აპირებდნენ „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღესთან“ დაკავშირებით აქციის ჩატარებას. და რა? სწორედაც აღენიშნე - აპირებდნენ, რადგან აქცია ვერ ჩატარდა.

საქართველო, რომელსაც ერთხელ ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ჟორჯ ბუშმა, უწოდა „თავისუფლების ჩირაღდანი“, სასტიკად გაუსწორდა ორმოცდაათიოდე ადამიანის აქციას, რომლებიც უფლებებისთვის გამოდიოდნენ. დღის პირველ საათისთვის, თბილისის პარლამენტთან, როდესაც ჩვენი აქცია უნდა დაწყებულიყო, შეიკრიბა აღშფოთებული კონტრ-აქციის მონაწილეები, რომლების რაოდენობაც ბევრად მეტი იყო, ვიდრე - ჩვენი. ვერც კი მოვასწარი, რომ დავმდგარიყავით ცისარტყელის დროშის ფერების ზოლებად ფლემშობის გასაკეთებლად, კონტრ-აქციის მონაწილეებმა, სასულიერო პირების ნინამძღოლობით, გაარღვიეს კორდონი პოლიციისა, შევარდნენ მუშტებით. პოლიცია, არა, არ დაიბნა - ისინი აზრზე არ იყვნენ, რა გაეკეთებინათ, და რამდენიმე წუთით ვერ გადანყვიტეს, გაეგრძელებინათ იმის ყურება, რაც ხდებოდა, თუ დაგვხმარებოდნენ ჩვენ, აქციის მონაწილეებს.

მე გავიგე ყვირილი, რამაც ძალიან შემაშინა და მაიძულა, შევეტრიალებულიყავი იქით, საიდანაც მორბოდნე, ჯერ ჩვენი აქციის მონაწილეები, მერე პოლიციელები, რომლებმაც დაიყვირეს, რომ გავცქეულიყავით ავტობუსებში და პოლიციელების მერე მორბოდა ის სიმრავლე კონტ-აქციისა. ღმერთო! თუ კი არსებობ! აი, რატომ? რაც მე შიში ვიგრძენი და რაც გადავიტანე იმ დღეს, არავის აგრძნობინო ცხოვრებაში, გთხოვ! ჩემს გულში უკვე ვემშვიდობებოდი მშობლებს, ყველა ჩემს ნათესავს და მეგობარს, იმიტომ, რომ უკვე მზად ვიყავი - ან ქვებით ჩაგვეკოლავენენ, ან დაგვგლეჯდნენ შიშველ ხელებით. ესეთი აგრესია, სიძულვილი და, არ მომერიდება ამის თქმა და, სატანობა, მე არ მინახავს, ალბათ - მხოლოდ წიგნებში, ეშმაკის გამოსახულებებზე. მაღლობა ყველას, ვინც კი ცდილობდა ჩვენს გადარჩენას, ვინც კი გაგვალწვევინა იქიდან და უმაღლეს, ზებუნებრივ ძალებსაც კი მაღლობა, დღესდღეობით რომ ცოცხლები ვართ.

ძალადობა, რომელიც ჩვენ ვნახეთ 17 მაისს თბილისში, სრულიად მკაფიო მაგალითია ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვისა. მშვიდობიანი შეკრება და აზრის თავისფლად

გამოხატვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, ჩვენ კი ეს უფლება წაგვართვეს.

რა მნიშვნელობა აქვს, რა იდენტობის მქონე პიროვნება ვარ, პირველ რიგში, ადამიანი ვარ, პიროვნება. პოლიტიკასა და რელიგიაში ცოტა მაინც გარკვეული ვარ. ამიხსენით, გთხოვთ, ეს რა იყო? რა ნესია? რა უფლებით და რა კანონით მოხდა ეს - სხვანაირად მე ამას ვერ დავუძახებ - ხათაბალა? გთხოვთ ამიხსენით, ოღონდ ამაზე მიპასუხეთ, როგორ შეიძლება, რომ მამაომ ან სხვა სასულიერო პირმა, ვითომ ღმერთის სახელით, კურთხევა მისცეს ხალხს იმისთვის, რომ ჩაქოლონ ჰომოსექსუალები? არა, არა, არა! მე ამას ვერ ვხდები და ვერ მივხდები. ასე არ შეიძლება. ეს ფარისევლური და გაუბედურებული შოვინისტური თვისებაა, დიახ, შოვინისტური, იმიტომ რომ ამ სიტყვის განმარტება არის სხვა ერების სიძულვილი, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას. ჩვენ, ლგბტ ადამიანები, ჰომოფობ-ჰეტერო საზოგადოებისთვის არ ვართ ქართველები, ეგრეთწოდებული გარყვნილი ერის წარმომადგენლები ვართ. ბოლოს და ბოლოს, იმავე კონტრ-აქციის მონაწილეები ბოლო ხმაზე ყვირიან, რომ მორწმუნეები არიან, თანამედროვე და კავკასიაში ყველაზე სოლიდარული ქვეყანა ვართ... არ არის ეგრე! ამის მერე თქვენ ევროპაში გინდათ? ნურას უკაცრავად! ამ ხალხს ყურ-სმენა არ გააჩნია, არ მიიღია არავის შეურაცხყოფა იმის თქმით, რომ ნაცრისფერი ნივთიერება თავის ქალიდან საერთოდ დაკარგული აქვთ, მაგრამ საჭიროა ამის თქმაც. მილიონ ათასჯერ იყო ნათქვამი, რომ 17 მაისი არის „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღე“, ჩატარდება მშვიდობიანი აქცია და ფლემშობი ჰომოფობიის საწინააღმდეგოდ!!! არა! მათ არ ესმით! მათთვის ყველაფერი ერთფეროვანია. აიჩემეს ეს გეი ალღუმი და გეი ალღუმიო. მნიშვნელოვანი არ იყო ის, რომ ჩვენ პიროვნებები ვართ, მთავარი მიზანი იყო, რომ ეცემათ ჩვენი თავი, მოეკლათ. მამაოები კიდეც, იმის ნაცვლად, რომ დაანყნარონ აღელვებული პუბლიკა, პირიქით, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. ბოლოს და ბოლოს, თუ კი ღმერთი არსებობს და ყველა ღმერთის შვილია, მაშინ ჩვენც, ლგბტ ადამიანები, ღმერთის შვილები ვართ. ნუთუ ღმერთს უნდა, რომ ერთი ადამიანი გამოვიდეს და მეორე სცემოს, დაჭრას ან მოკლას მხოლოდ იმის გამო, რომ ის განსხვავებულია? მაშინ ამიხსენით! რატომ არ გამოდის ამდენი საქართველოს „ზნეობის“ დამცველი მილიონობით უსახლკარო ბავშვის დასაცავად? რატომ არ ახსოვს გაჭირვებული მოხუცები? რატომ, ჰა? ან რატომ არ გამოდიან ნარკომანიის საწინააღმდეგო ან მანიაკების საწინააღმდეგო აქციებზე ან გარემოს დაცვის და გამწვანების აქციებზე





ასე მრავლად, რატომ არ გამოდიან? ამდენი რომ გამოხვედით ჩვენი, ლგბტ ადამიანების საცემად, ასე ამაყად და ჯანინანად გამოსულიყავით სხვა დროს და აფხაზეთიც, ოჩამჩირეც, ოსეთიც არ დაგეკარგებოდათ.

2013 წლის მაისის სამი დღის განმავლობაში მე გავხდი ძალადობის მსხვერპლი. როგორც ფიზიკურის, ასევე - ფსიქოლოგიურის:

1)

17 მაისს იმავე რაიონში, სადაც უნდა ჩატარებულიყო აქცია და ვერ ჩატარდა, მოხდა პირველი შემთხვევა. რამდენიმე საათში მომიწია დაბრუნება მოვლენების ეპიცენტრში, იმიტომ, რომ მე ვცხოვრობდი ქირით ჩემს მეგობრებთან ერთად იმავე რაიონში. თითქმის მივედი სადარბაზოსთან, მაგრამ ერთ-ერთი რესტორნის წინ დამხვდა 3 ბიჭი. ეგრევე გულმა მიგრძნო, რომ ცუდადაა საქმე, მაგრამ მათ კითხვაზე ვუპასუხე ინგლისურად, იმისთვის, რომ გამესაღებინა თავი უცხოელად. თუმცა, ეს არ დამეხმარა. ვერ შევძელი მოძალადეთა შეჩერება და ნაცემი დავრჩი.

2)

ასეთ უსამართლობას მე ვერ შევეგუე და მეორე დღეს, 18 მაისს, წავედი თბილისის კანცელარიასთან, ძალადობის საწინააღმდეგო აქციაზე. მართალია, პოლიციის თანამშრომლებმა კარგად დაგვიცვეს მოძალადეებისგან, მაგრამ ჟურნალისტებისგან არა, მე აღმოვჩნდი პირდაპირი ჩართვების ვიდეო სიუჟეტებში და რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის სურათზე. აი, ახალი პრობლემა, არანაირად არ მოველოდი იმას, რომ ჩემი უბნელები ტელევიზორში ახალი ამბების ყურების დროს დამინახავდნენ და მიცნობდნენ, ვინ ვარ და რა აქციაზე ვიყავი. იმავე დღეს შემხვდნენ უბანში, როცა მივდიოდი მშობლების სანახავად. აი, ეს იყო მართლა შიშის ჭამა. ამეკიდნენ ჩემ განსხვავებული ვარცხნილობის გამო და მომაყენეს ვერბალური შეურაცხყოფა. მაგრამ ამით არ დამთავრდა ჩვენი არასასიამოვნო შეხვედრა, სიტყვებით: „უნდა შეგიცვალოდ ეგ „პიდარასტული“ ვარცხნილობა“, სანთებელით გადამიწვეს თმა თავზე და მუშტიც ჩამარტყეს სახეში. ცხვირიდან წამსკდარმა სისხლმა უფრო გაანითლა წითელი მაისური, რომელიც იმ დღეს მეცვა. რას, მაგრამ ესეთ უსამართლობას უბნელებისგან არ მოველოდი. მაღლობა ახლოს მჯდომ ჭადრაკის მოთამაშე კაცებს, რომლებმაც გაგვაშველეს და გამაცილეს ტაქსიმდე.

19 მაისს, დილით, დამამშვიდებელი წამლებით გაბრუნებული წავედი სამსახურში, სადაც ადგილზე დამხვდნენ იმ ტერიტორიის დაცვის 12-ვე ბიჭი, რომლებმაც გაიგეს იმის შესახებ, რომ მე ვიყავი 17 მაისის აქციის მონაწილე. და მე კიდევ ერთხელ გავხდი ძალადობის მსხვერპლი. ამდენი გინება მე ცხოვრებაში არ მომისმენია.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ ეს სამი ფაქტი ასახავს ჩემზე ძალადობას. სამწუხაროდ, ხანდახან მე განვიცდი ძალადობას იმის გამო, რომ ტრანსგენდერი ვარ. და ეს ხდება მაშინ, როცა ველარ ვიკავებ თავს, როცა მზეზრდება ნატურალი კაცის როლის თამაში და ვხდები ის, ვინც ვარ - ლამაზი, მაღალი ქალი. როგორ გადავრჩი დღემდე? მადლობა ბედს! მაგრამ გადატანილი ამბების შემდეგ ისეთი შიშები დამენყო, რომ დღემდე ვებრძვი სოციოფობიას. მეტრო როგორ გამოიყურება, დამავინყდა, და ის, რომ წავიდე რამე კონცერტზე, გამორიცხულია. იმიტომ. რომ მეშინია იმ ხალხმრავლობის, რომელიც შიშობა, დამხვდეს იქ. და ყველაზე საშიშია ის, რომ არა მარტო მე ვარ, ვინც გახდა ძალადობისა და უსამართლობის მსხვერპლი. როდემდე გაგრძელდება ასე? არ ვიცი.

მე მართლა მაქვს ძალიან დიდი იმედი იმისა, რომ მომავალში ეგეთი სიტუაციები აღარ განმეორდება არა მარტო ჩემ მიმართ, არამედ საერთოდ ყველა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლის მიმართ. იმედია, რომ საზოგადოება მიგვიღებს, იმიტომ რომ ჩვენ ეგეთები დავიბადეთ და არანაირი ხალხის ძალადობა ჩვენ არ შეგვცლის. ჩვენ არ ვართ ცხოველები, ჩვენ ვარსებობთ და ჩვენ გვაქვს არსებობის უფლება.

ახლა კი, სანამ საქართველოში ასე დამძიმებულია ლგბტ პირების მდგომარეობა, სანამ არსებობს ისეთი ადამიანები, ვისაც უნდა ჩვენი უფლებების შელახვა ან, საერთოდაც, ჩამორთმევა, უმნიშვნელოვანესია, კარგად ვიცოდეთ, რომ დადგება დრო და საზოგადოება მიგვიღებს ისეთებს, როგორებიც ვართ, სისასტიკე ჩვენ არ შეგვცვლის. მგონია, რომ ჩვენ თავად უნდა ვიბრძოლოთ სამართლიანობის აღსადგენად, გამოვიმუშავოთ გარკვეული იმუნიტეტი და მაშინ ყველაფერი იქნება კარგად. პირადად მე მიყვარს ჩემი საქართველო, აქ დავიბადე, აქ ვცხოვრობ და არსად არ ვაპირებ წასვლას, მით უმეტეს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის გამო! ვიყავი, ვარ, ვიქნები და ვიბრძვი! იმიტომ, რომ მე მინდა მშვიდი ცხოვრება!

ტრანს ნარატივები პროექტის, „ლბტ აქტივიზმში თემის ჩართულობის გაძლიერება“ ნაწილია. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია „ქალთა ფონდი საქართველოში“. WISG, 2015



